


2, 3.

ე. თამარ შიუპაშვილი



ცისქიათლის მოცლე კურსი



1931

სახელმწიფო გამოსაზღვრა
ტფილისი

616.89

වඩ. ගාමාරු සැප්පාජපොල

ଓଡ଼ିଆ ଶାସନ

მედ-ტექნიკურის
ასახვისთათვის

408

JJ. 2019-13804

৬১৬০৩৮৭০৩৩ ৪১৮৩২০৩০৩৯৩৮১

Φ 30 Β 060 1931

616.88(075.32)

სახელგამის 1-ლი სტამბა. პლეზანოვის პროსპ. № 91.

შეკვ. № 839,

მთავარლ. № 1175.

ტირაჟი

3100.

ექ. თამარ შიუკაშვილის მიერ მედ-ტექნიკუმების მსმენელთათვის დაწერილი მოკლე კურსი შეიცავს ფსიქიატრიის უმთავრეს თავების გაღმოცემას. ალნიშნული ავადმყოფობანი აღწერილია თუმცა სქემატიურად, მაგრამ საკმარისად გასავებად, მით უმეტეს, რომ ამ თავებს დართული აქვს საილუსტრაციოდ ავადმყოფთა ისტორიები. უკანასკნელი ძლიერ უადვილებს მსმენელებს მასალის შეთვისებას, რადგან თითქმის უდრის ცოცხალ სიტყვას და ავადმყოფის დემონსტრაციას ლექტორის მიერ.

რაც შეეხება კურსის მეორე ნაწილს, სადაც ავტორს უმთავრესად სულით ავადმყოფის მოვლაზე აქვს ლაპარაკი, აქაც მოკლედ — სხარტად ყველაფერია ნათქვამი, ხოლო, ვინაიდან ფსიქიატრიულ სააგადმყოფოს საშუალო საექიმო პერსონალი, არამც თუ თითონ უნდა იყოს დახელოვნებული ავადმყოფთა მოვლაში, არამედ უნცროს პერსონალსაც უნდა შეასწავლოს სპეციალური მოვლის წესები, სასურველი იქნებოდა შემდეგი გამოცემისთვის უფრო ვრცელი და ყოველმხრივი აღწერილობა ფსიქიატრიის ამ ძლიერ მნიშვნელოვან ნაწილისა.

პროფესორი მ. ასათიანი.

ტფილისი, 1931 წლის 10 მაისი.

ჭინასიტუვაობა

ეს მეორე გამოცემა, შესწორებული და შევსებული, განზრახ მოკლებულია უცხო სიტყვათა სიმრავლეს, რათა მსმენელს საგნის შეთვისება გაუჟადვილდეს, რომ უცხო სიტყვათა სიმრავლემ არ ააცდინოს გზას, რაც მისთვის მთავარია. მაგალითად, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში თავის დაჭერა, ავადმყოფისადმი ლმობიერი მოპყრობა და სხვა. თეორიული ნაწილის ხალისიანად შეთვისებისთვის ყოველ ფსიქიურ დაავალების აღწერის შემდეგ მოყვანილია რამდენიმე შემთხვევა კლინიკური ავადმყოფობისა. ზოგიერთი მათგანი დღესაც საავადმყოფოშია. ამნაირად, მსმენელს საშუალება ეძლევა თეორიულად შეთვისებული რომელიმე ავადმყოფობა შეისწავლოს კლინიკურ ობიექტზე-დაც. მედტექნიკურში ფსიქიატრიის სწავლების 5 წლის გამოცდილებამ შემაცვლევინა აჩრი იმის შესახებ, თუ როგორ სახელმძღვანელოს საჭიროებს ტექნიკურის მსმენელი ფსიქიატრიაში.

უდავოა, რომ სახელმძღვანელოს შედგენისას მთავარ მოტივად პრაქტიკული მიღებომაა საჭირო. უმთავრესია მომზადებეს მსმენელი იმდენად, რომ შესძლოს თავის დაჭერა სულით-ავადმყოფთა შორის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, იცოდეს ექიმის ამა თუ იმ დავალების შესრულება: წამლის დალევინება, ავადმყოფთან განსაკუთრებულად ლაპარაკი, სველ ზეწარში მისი გახვევა, აბაზანის მიღებინება და სხვა მრავალი ამის მსგავსი.

ზოგადი ნაწილი

ცნება „ფსიქიატრია“ გულისხმობს მეცნიერებას სულიერ ავადმყოფობათა წარმოშობისა და მათი მკურნალობის შესახებ. „ფსიქე“ ნიშნავს „სულს“ და „იატრია“ — „მკურნალობას“. დღეს სიტყვა „სული“ იხმარება არა იმ მნიშვნელობით, როგორადაც ხმარობდენ ჩვენი უახლოესი წინაპრებიც კი.

ადამიანის ქცევა, გრძნობების გარეგანი გამოსახულება, მისი სურვილები, მისწრაფებანი, ადამიანის აზროვნება, ლოლიკური მსჯელობა,— ის ყველაფერი ის, რაც ადამიანის ფსიქიური ცხოვრების შინაარსს შეადგენს. რას ვგულისხმობთ ფსიქიურ დაავადებაში, რაში გამოიხატება ავადმყოფ ფსიქიკის მუშაობა? დავიწყოთ უმარტივესიდან. უპირველეს ყოვლისა თვითმოქმედება ფსიქიურად დაავადებულისა განირჩევა საღი ადამიანის ქცევისაგან. ფსიქიურად დაავადებული ისე ვერ მსჯელობს, როგორც საღი. ფსიქიურ ავადმყოფს ხშირად ეჩვენება ის, რასაც ვერ ხედავს ფსიქიურად საღი. ფსიქიური ავადმყოფი ისე ვერ ითვისებს გარემოს, როგორც საღი. ფსიქიურ ავადმყოფს ესმის ის, რაც არ ესმის საღი. აი, ამისთვის ვამზობთ, რომ ფსიქიურ ავადმყოფს არა აქვს სწორი აღმელობა. აღმა დამახინჯებული, ე. ი. გაგონილი, დანახული მის ფსიქიკაში—ტვინის ქერქში სულ სხვა გამოსახულებას ღებულობს, ვიდრე საღი ადამიანის ტვინის ქერქში. აი, საამისო მაგალითები: ქუთხეში მოსჩანს ჩამოკიდებული ტან-

საცმელი; ავადმყოფს ჰელინია, რომ კუთხეში ადამიანი დგას; ქსმის ქუხილი რომელიც ზარბაზნების გრიალად ეჩვენება და სხვა მრავალი. საკეთოველი არ არის, რომ ასეთ არა-ნორმალურ შთაბეჭდილებას არანორმალური მოქმედება მოსდევს. მაგალ. თუ მას ქუხილი ზარბაზნების გრიალად ეჩვენება—ეშინია, ყვირის, იმალება და სხვა.

ვთქვათ ავადმყოფს შორიდან მოქსმა მამლის ყივილი. მის დაავადებულ ფსიქიკაში მამლის ყივილი ადამიანის ლანძღვა-გინებად გარდაიქა, რომელიც პირადად მისად-მია მიმართული. რასაკვირველია, ავადმყოფი ლანძღვითვე უპასუხებს, ხშირად მოქმედებასაც მიაშველებს; მიზნად ისახავს მტრის მოსპობას. თუ მოახერხა და ხელთ იცდო რაიმე იარაღი, მაგ. დანა, —ეკვეთება მამალს. ამ შემთხვე-ვაში საქმე გვაქვს ილუზიასთან. სულით ავადმყოფს ზოგ-ჯერ ეჩვენება და ესმის ის, რაც სინამდვილეში არ არსებობს. ამას ჰალუცინაცია ეწოდება. ჰალუცინაცია უობიექ-ტო აღქმაა, ე. ი. ჩამიჩუმი არსად ისმის, ავადმყოფს კი რაღაც ხმები ესმის, არსად არაფერია, ავადმყოფი კი მეა-ფიოდ ხედავს საგნებს. საკვირველი არ არის, რომ ამათუ იმ შთაბეჭდილებათა გამო ავადმყოფის მოქმედებაც იცვ-ლება. თუ თვალი მოჰკრა ექმის, მივარდება, მიაყენებს შეურაცყოფას, მიათურთხებს, გალანძლავს, სცემს და სხვა. მაშასადამე, ფსიქიური დაავადების უმთავრესი ნიშნებია; ილუზიები, ჰალუცინაცია, ბოლვა, გრძნობების დაჩლუნ-გება, სუსტი ჭიუა და სხვა. ჰალუცინაცია შეიძლება იყოს არა მარტო მხედველობისა, არამედ სმენის, ყნოსვის, შე-ხების, გემოვნების. ბოლვას აქვს, აგრეთვე, სხვადასხვა ში-ნაარის. თუ ავადმყოფი დარწმუნებულია თავის ძლევამო-სილებაში, თავი მილიარდერი ჰელინია, აუარება ოქრო აქვს და სხვა, ჩვენ ვამბობთ, რომ ავადმყოფს აქვს თვით-განდიდების ბოლვა; თუ პირიქით, ავადმყოფი დარწმუნე-ბულია თვითონ და გარშემომყოფთაც არწმუნებს, რომ მას

სიცოცხლე არ უნდა, რომ ის გამოუსადევგარია საზოგა-
დლებისთვის და, ამიტომ, არ სურს გაერიოს ხალხში, მას
აქვს თვითდამცირების ბოდვა; ხოლო, თუ ავადმყოფი
დარწმუნებულია, რომ მასზე ელექტროს ნაკალით მოქმე-
დებენ, რადიოთი და სხვა, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს
ზეგავლენის ბოდვასთან. თუ ავადმყოფი გადაჭარბებულად
ბევრს მოძრაობს, მას აქვს ნებითი სფეროს აწევა, თუ პი-
რიქით, გაყუჩებულია, უმოძრაო, მას აქვს ნებითი სფე-
როს დაწევა, მოძრაობათა და მოქმედებების შემცირების
სახით. ავადმყოფი ზოგჯერ იმდენად უმოძრაოა და კუნ-
თებიც იმდენად აქვს დაჭიშული, რომ არ შეიძლება ხელი
შევუშალოთ, ძნელია მისი ადგილიდან დაძრა; პირი მო-
კუმული აქვს, თვალები დახუჭული, საჭელზე უარს ამ-
ბობს, ერთი სიტყვით, ისეთ მდგომარეობაშია, რასაც ფსი-
ქიატრიაში უწოდებენ კატატონიურ მდგომარეობას. სუ-
ლით დაავადების დროს ხშირად ვხვდებით გრძნობების,
ემოციონალურ სფეროს დაზიანებას, რაც იმაში გამოიხა-
ტება, რომ ავადმყოფი ზოგჯერ უაღრეს მხიარულებას გა-
ნიცდის; ზოგჯერ კი უაღრესად დამწუხრებულია. არის
აგრეთვე, ისეთი შემთხვევა, როდესაც ავადმყოფს გრძნო-
ბები დაჩლუნგებული აქვს, განურჩეველია მშობლებისად-
მი, შვილებისადმი, ცოლის ან ქმრისადმი, საერთოდ ნა-
თესავებისა და მახლობლებისადმი. ასეთი გრძნობების ქმო-
ნე ავადმყოფი შეიძლება სრულიად განურჩევლად უყურებ-
დეს რაიმე უსიამოვნო ამბავს, ასევე სასიამოვნოსაც. ად-
ვილად შესაძლებელია ასეთ ავადმყოფს რომელიმე სხვა
ავადმყოფმა გაარტყას, შეუჩაცეყოს, რასაც სათანადო
გრძნობებს — ემოციებს მოკლებული ავადმყოფი ინდიფე-
რენტულად შეხვდეს.

ავადმყოფი ხშირად მცდარად აზროვნებს: ხან არწმუ-
ნებს მახლობლებს, რომ მას ვიღაც გადამტერებული პყავს,
რომელიც მის საწინააღმდეგოდ შეთქმულებას აწყობს,

უპირებს მოკვლას, ლამობს წაართვას და დაისაკუთროს
მისი ქონება, — ხანკი ავადმყოფი დარწმუნებულია თავის
ძლევამოსილებაში, სიმღიდრეში: იგი მიღიარდებოა, მას
ყველაფერი ძალუბს და სხვა. ამრიგად, ავადმყოფი თვისი
ავადმყოფი ფსიქიკის ზეგავლენით, არანორმალური აზ-
როვნებითი მოქმედებით და შთაბეჭდილებით ვერ თავს-
დება ნორმალურ, საღ აღამიანთა შორის და საჭიროებს
სულით ავადმყოფთათვის სპეციალურ დაწესებულებაში—
ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებას. სულით ავად-
მყოფობა არის ფსიქიკის დაავადება, ან როგორც წინად
ეგონათ, სულის დაავადება. ჩა არის ფსიქიკა და საღ უნ-
და ვეძიოთ დაავადებული სულის, — ფსიქიკის სუბსტრატი?
ჯერ კიდევ ძელი ბერძნები ჰიპოკრატეს სახით ხაზგასმით
ამბობდენ, რომ სულით ავადმყოფობა ტვინის დაზიანებაა.
დღეს კი, XX საუკუნეში, საბოლოოდ გადაწყვეტილია,
რომ როგორც აღამიანის, ისე პირუტყვის მთელი ფსიქი-
ური მოქმედება წარმოებს ტვინის ქერქში.

ცნობილი მეცნიერის გოლცის ცდამ, რომელმაც
ძალს ამოსჭრა ტვინის ქერქი, რის შემდეგაც თვალყურს
ადევნებდა მის ფსიქურ ცხოვრებას, ცხადჰყო ეს აზრი.
გოლცის ძალმა ტვინის ნახევარ სფეროების ამოცლის შე-
მდეგ იცოცხლა თვრამეტი თვე, მეც. გოლცი თვალყურს
ადევნებდა ძალლის ქცევას, რომელიც შესამჩნევად გამოი-
ცვალა; მაგ., წინად საჭმლის დანახეაზე უმაღ გაეშურე-
ბოდა მისკენ და ხარბად დაუწყებდა ჭამას, ახლა კი შიმ-
შილის მიუხედავად საჭმლის დანახევისას არ ამჟღავნებდა
ჭამის სურვილს; ჭამდა მხოლოდ მაშინ, როდესაც საჭმელს
პირთან მიუტანდენ. გარდა ამისა, გოლცის დაკირვებით,
ძალლი მეტად პასიური, გულგრილი და აპატიური გახდა.
ამრიგად, ცხადია, რომ ფსიქიური ცხოვრება უშუალოდ
და მჭიდროდ დაკავშირებულია თავის ტვინის სფეროებ-
თან, ტვინის ქერქთან. ახლა გადავიდეთ იმ მრავალ მიზე-

ჭებზე, რომელნიც იწვევენ სულის, ან ფსიქიკის დაავადებას. ფსიქიური დაავადების გამომწვევი მიზეზები სხვადასხვა და მრავალნაირია: თუ თავის ტვინის ქერქოვანი ნაწილი უმუალოდ დააზიანეს დარტყმით, ჩამოვარდნით, წაქცევით, თუ ქერქში ანთებითი პროცესი გაჩნდა და დაზიანა ნერვიული უჯრედები, თუ ქერქი მუდმივ რაიმე ინტოქსიკაციის ქვეშ იმყოფება და მას ინფექცია დააზიანებს,—ამას შედეგად მოყვება ფსიქიური დაავადება. გარდა ამისა, ფსიქიური აშლილობა დაკავშირებულია მემკვიდრეობით დატვირთვასთან, შინაგან სეკრეციათა ჯირკვლების დისფუნქციასთან, ფსიქიურ ტრაუმასთან, და, აგრძეთვე, კონსტიტუციასთან.

კონსტიტუცია გერმანელი ფსიქიატრის, პროფ. კრეჩმერის გაგებით არის ყველა ის, რაც პიროვნებას გაღმოცემული აქვს მემკვიდრეობით, რაც მის ფიზიკურ და ფსიქიურ „მე“-ს შეადგენს. პროფ. კრეჩმერის აზრით ყოველ ადამიანს განსაკუთრებული ტანთაგებულება აქვს, განსაკუთრებული ხასიათი და ტემპერამენტი. მაგ., ასთენიური კონსტიტუციის ადამიანს აქვს ვიწრო პირისახე, მაღალი, ვიწრო კისერი, გრძელი ხელფეხი, პრტყელი გულმკერდი და მუცელი. ასთენიური კონსტიტუციის მქონე უფრო მაღალი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს ვიდრე ის არის სინამდვილეში. ხასიათით ასეთი ტიპის კაცი გულჩახვეულია, აქვს განმარტოებისადმი მიღრეკილება; გადაჭარბებულია შერძნობიარეა და, ამავე დროს, გულცივი, წყენას დიდ ხანს ატარებს გულში და ძნელად ივიწყებს, საზოგადოებას ერიდება, მარტოობას არჩევს, გატაცებულია წიგნებით, მეცნიერებით, განყენებულად აზროვნობს. მოკლებულია რეალობას, მოშორებულია ცხოვრებას. სულ სხვა ტანთაგებულება აქვს კრეჩმერის პიქნიკს: პიქნიკი ტანით არა მაღალი, კისერი დაბალი და სქელი აქვს, ხელფეხი მოკლე, თავი, გულმკერდი, მუცელი რგვალი,

საშუალოდ განვითარებული ცხიმოვანი ქსოვილი. პიქნიკი მხიარულია; იგი საქებით გათქვეფილია ცხოვრებაში, რეალური პიროვნებაა, ყველასთან ერთნაირად კარგ და-მოკიდებულებაშია, წყენას მაღვ ივიწყებს.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ სულით ავადმყოფს თავისი მოქმედებით და აზროვნებით შეაქვს დისონანსი ნორმა-ლურ კარგადმყოფ აღამიანთა ცხოვრებაში. ზოგჯერ სენის ამა თუ იმ სიმპტომის გავლენით იმდენად ღელდება სულით ავადმყოფი, რომ მისი დატოვება ოჯახურ პირობებში შეუძლებელია. დრო-დრო სულით ავადმყოფი განიცდის სა-სოჭარებელილებას, სევდას ე. წ. „დეპრესიას“ და იმდე-ნად დარწმუნებულია თავის უვარესობაში, რომ მზად არის ყოველ ჭუთს მოისპოს სიცოცხლე, დაისახიჩროს ან ჩამოიხტოს თავი, გადავარდეს წყალში და სხვა ამგვარი.

სულით ავადმყოფობის ასეთ გამწვავებულ მომენტში ავადმყოფი უთუოდ უნდა მოთავსდეს ფსიქიატრიულ სა-ავადმყოფოში.

ცნების განმარტებისა და ფსიქიური დაავადების მოქ-ლე იღწერის შემდეგ გადავიდეთ კერძო, ცალკეული სუ-ლით დაავადების ახსნა-განმარტებაზე.

I. Dementia praecox – Schizophrenia.

დაგიწყოთ ყველაზე გაგრცელებულ დაავადებიდან, ე. წ. „ნაადრევი ჭეუის სისუსტისაგან“, ლათ. „Dementia praecox“, რასაც უკანასკნელ ხანებში „შიზოფრენიას“ უწოდებენ.

„შიზოფრენია“ „Schizophrenia Dementia praecox“ — როგორც სახელწოდება გვიჩენებს, ახალგაზრდების ჭეუის სისუსტეში მდგომარეობს და გვხვდება სქესობრივი მო-მწიფების ხანაში. უმრავლეს შემთხვევაში იწყება შეუმჩნევ-ლად, თანდათანობით, სრულიად უმიზეზოთ. ხშირად მას

წინ უძღვის არამეტებით უსიამოვნება; ავადმყოფი გაურბის საზოგადოებას, ექვებს მარტოობას, ჩაფიქრებულია, მოქმედება და ლაპარაკი არანორმალური აქვს, ხშირად ჩაცმულობითაც იქცევს ურადღებას, თანდითან ემჩნევა ერთბაში აღლვება უმიზეზოდ; ზოგჯერ კი ამ ფსიქოზს ახასიათებს შემდეგნაირი მდგომარეობა: ავადმყოფი დგება ერთს პოზაში; პოზა და მოძრაობა თავისებური აქვს: იშვიათი არ არის ასეთი ავადმყოფის გაყუჩება ერთ პოზაში თვეობით; მაგ. ერთსა და იმავე გვერდზე თვეობით მწოლარე ავადმყოფი საჭმელზე უარს ამბობს, პიროვნეულია, ვერც ერთ სიტყვას ვერ წარმოათქმებინებთ. ამგვარ ავადმყოფს თვეების განმავლობაში ხელოვნურად, ზონდით კვება ესაჭიროება. მზოლოდ ასე შეიძლება მისი სიკვდილისაგან დახსნა. ამ სახის ავადმყოფს ხშირად სმენის ჰალუცინაცია აქვს: ესმის ესა თუ ის ბრძანება, რომელიც დაუყონებლივ უნდა შეასრულოს. ასეთი ჰალუცინაციები იწვევენ მესამე სართულიდან გადმოვგარდნას, სარკმლის გამომტვრევას, წყალში გადავარდნას და სხვა. გვხვდება ცოლისა და შვილის ნაჯახით თავის მოკვეთა და სხვა.

რა ევალება ამ შემთხვევაში სულით ავადყოფის მომ-
კლელს, როგორი სიცხიზღვა საჭირო მისთვის ღოვ და
ლამის განმავლობაში, რომ განსაცდელს გადაარჩინოს ავად-
ყოფიც და მისი მეზობლებიც. ამგვარ ავადყოფს მუ-
დამ ჰქონია, რომ მას მტრობენ. ხშირად მას აწუხებს
უსიამოვნო შეგრძნება: გრძნობს თავის სიცარიელეს, ან
საშინელ სიცივეს თავის განსაზღვრულ ნაწილებში. ჩივის
რომ ჰიპნოზის ქვეშ იმყოფება, რომ მის სხეულში ელექ-
ტრონის ნაკადს უშევებენ, უწამლავენ საჭმელს, ძილის დროს
ძალმომრეობენ მასზე, ხრწიან, სასქესო ორგანიზმზე ხელს
ჰქიდებენ, მთელ სხეულს გლეჯენ და სხვა შრაგალი.

გაივლის ასეთი გამწვავებული პერიოდი და ავადმყოფი თანდათანობით მშეიდდება და ბოლოს სრულიად განუჩეველი გახდება: გარშემო მყოფნი სრულიად არ აინტერესებენ; მეხსიერება კი მუდამ საღი აქვს, კარგად ერკვევა დროში, აღვილში და ცნობს გარშემო მყოფთ; სამეგიეროდ, ყველაზე მეტად დაზიანებული აქვს ემოციონალური სფერო: სრულიად არ განიცდის სხვის მდგომარეობას. ეს გრძნობა დაჩლუნგებული აქვს. არც სევდა, არც სიხარული მისთვის არ არსებობს. საავადმყოფოში კარგახანს რჩება და ხშირად კვდება რაიმე სომატიური (სხეულის) დაავადებით, ხშირად ტუბერკულოზითაც

ავადმყოფი მ. შ. შემოვიდა საავადმყოფოში 1923 წ. მეტისმეტად აღლვებული, ჩიოდა რომ არ შეუძლია საჭმლის მიღება, რადგან მოწამლულია. სახლში ყოფნის დროს განუწყვეტლივ ჰქონდა კონფლიქტი დედ-მამასთან, რომელიც ვითომ განხრას უპირებდენ მოწამვლას. საავადმყოფოში მოსვლისთანავე ავადმყოფი ახალ გარემოში ცოტაოდნად დამშვიდდა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ როგორც კი შეეჩინა ახალ ცხოვრებას, კვლავ იწყო ჩივილი: არ აძლევენ მოსვენებას, სხეულში ელექტროდენს უშვებენ, წყალი ვერ დაულევია, რადგან მოწამლულია, ვერც საჭმელი უჭამია, რადგან სამხარეულოში უწმლავენ, გამუდმებით ესმის რაღაც ხმები, რაზედაც პასუხს იძლევა; მეტად მხდალია, უმნიშვნელო ხმაურობაზე ეღვიძება, ლანძღივს, წყევლის გარშემო მყოფთ, იფურთხება.

უმაღლესი სწავლით აღჭურვილი ავადმყოფი საუცხოოდ ლაპარაკობს ქართულად და რუსულად, მრავალს კითხულობს, განვითარებულია. ავადმყოფურ შეგრძებათა და შთაბეჭდილებათა გარეშე სრულიად შენახული პიროვნებაა. ძნელია იმის თქმა, რომ იგი სულით ავადმყოფია. საავადმყოფოში მთელი დღე საქმეშია გართული, ჰკითხულობს, წერს მშვენიერ ლექსებს, თვითონ კითხულობს

გრძნობით და ხშირად მღერის. განმარტოებული დამშვი-
ფებული ცხოვრება აქვს, თუ ხელს არვინ უშლის და არა-
გინ ელაპარაკება. სრულიად გაინაპირა თავი ავადმყოფ-
თავან, არავისი რა სჯერა: რომ არავინ მოწამლოს, თვი-
ოთნ ისწორებს საწოლს, მარტო მიდის აბაზანის მისალე-
ბად, არავის აძლევს ნებას ხელი ახლოს აბაზანას; თვითონ
რეცხავს და თვითონ ავსებს წყლით, თუ სადილი სხვის
მიერ გარეცხილ ჭურჭელზე მიუტანეს, ხელს არ ახლებს.
ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ სულით ავად-
მყოფებთან, რომლის ფსიქიური დაავადება გამოიხატება
ზეგავლენის ბოდვებში და სხვადასხვა უსიამოვნო შეგრ-
ძნებებში. მას ეშინია მოწამელის, მტრობის და სხვა რა-
იმე ზიანის. ავადმყოფს საუკეთესო მეხსიერება აქვს: ის
მშვენიერად ერკვევა დროსა და გარემოში, ე. ი. კარგიდ
იცის რომ სულით ავადმყოფთა სამკურნალოში არის, იც-
ნობს ყველა ექიმებს და მოსამსახურებს, იცის რა წელია,
რა თვე და რიცხვი, თავის ავადმყოფობას კრიტიკულად
არ უყურებს და ყოველი მისი ნათქვამი სინამდვილედ მი-
აჩნია.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვლაპარაკობთ შიზოფრენიაზე და
არა-ნააღრევ ჭკუის სისუსტეზე — იმდენად, რამდენადც
ჭკუის სისუსტეს ჩვენ ვერ ვამჩნევთ. ავადმყოფის ფსიქიკა
პიროვნება, აშკარაა, ირლვევა, თორემ უმაღლესი ცოდნით
აღჭურვილი იურისტი ქალი, ეჭვს გარეშეა, იშოვიდა სამ-
სახურს. ის კი საავადმყოფოშია გამომწყვდეული და მთე-
ლი მისი ინტერესები განსაზღვრულია იმაზე ფიქრით, თუ
ვინ ცდილობს მის მოწამელას, რომელსაც უმაღლეს სას-
ჯელად დახვრეტას უპირებს, სრულიად არ აინტერესებს
როგორ ცხოვრობენ მისი მშობლები და თანამედროვე
ცხოვრება მისთვის ინტერეს-მოკლებულია.

ავადმყოფი რ. ხ. შემოვიდა საავადმყოფოში 1922 წ.
მოიყვანეს როგორც საეჭვო პიროვნება ფსიქიკის გამოსა-

ქვლევად. კარგა ხანია, რაც ის, თურმე, მთელი საათების განმავლობაში დგას შენობის წინ და მისჩერებია სარკმლის ერთ წერტილს.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებული უმაღლეს სას-წავლებელში პირველ კურსზე ითვლება. პედაგოგობს და ასე ინახავს თავის ერთად-ერთ დედას. მამა დიდი ხანია არა ჰყავს. უკანასკნელ ხანებში დედამ შეამჩნია, რომ მასი ვაჟი დიდხანს რჩება საწოლში, თითქმის აღარ დაიარება გაკვეთილზე; ამავე დროს შესამჩნევად უკმეხია, რუსაც წინად ვერ ამჩნევდა. მომეტებულად სევდით არის შეპყრობილი. უეცრივ გაიღიმებს, თითქო ვინმე დაინახა. ღამე არ ძინავს, დიდ ხანს რჩება საპირფარეშოში. ამას-ნაგებმაც მიაქციეს ყურადღება მის არაჩვეულებრივ ქცევას. თუ სტუმრადაა, საერთო საუბარში მონაწილეობას არ ღებულობს; უეცრივ წამოიჭრება, არავის ეუბნება თავის წასვლის მიზეზს და გარბის. საავადმყოფოში სენი პროგრესულად ვითარდება: ავადმყოფი მთელ კვირაობით ტანთ არ იხდის, უძალიანდება აბაზანის მისაღებად წამ-ყანს, საჭმელს არ ეკარება, მთელი საათობით მისჩერებია სარქმელში ერთ წერტილს, მარჯვენა ხელის მაჩვენებელ თითში რიღაც ჩაუბლუჯია (მომეტებულად ასანთის ნატები). ასეთი სიჯიუტე, სიკერპე ერთგვარი თავისებური მოძრაობა და პოზა, ფსიქიატრიაში იწოდება კატატონიურ მოვლენად, რაც ამ ავადმყოფს რამდენიმე წლის გან-მავლობაში აქვს. აგრეთვე იჩენს ბოდვის იდეებს: ხან უნდა მოიგონოს მორწყვის ახალი სისტემა, რაც შესაძლოდ გახდის მთელ დედამიწის ზურგზე მინდვრების ერთდრო-ულად მორწყვას, ხან შეა გადასტებს ცაცხეს, ნახევარს მოსჭედს სხვადასხვა სიდიდის ლურსმნებით და ამ მანქა-ნით აპირებს მისწვდეს გარსკვლავებს და ამრიგად შეის-წავლოს ასტრონომია. ბოლოს ბოდვა და ჰალუცინაცია თანდათანობით ნელდება, ავადმყოფი სრულიად განურ-

ჩეველია ყველაფრისადმი; დედასთან დროგამოშეტით უქ-
მები მოქცევა აქვს, სრულებით არ აინტერესებს, თუ რა
ს შეუალებით ცხოვრობს დედა, რით ყიდულობს მის საყ-
ვარელ ნამცხვარსა და ტკბილეულს, პურს და კარაქს. ამ-
დღადაა დაქვეითებული.

ავადმყოფი უ. კ. მე-7 კლასის (თუ ჯგუფის) მოწაფე,
განათლებული მშობლების შვილი, საუკეთესოდ სწავლობს,
დაუბრკოლებლად გადადის ჯგუფიდან ჯგუფში; უკანასკ-
ნელ ხანებში შეამჩნიერ უცნაური ქცევა; ეძებს მარტოო-
ბას, სულელურად იქცევა, ღამით რიგიანად არ ძინავს,
ეშინია და ბოლოს ერთბაშად დაიწყო ლელვა, ყვირილი;
რადაც ეჩვენება და გარბის. ამგვარ ავადმყოფს უამრავი
სმენისა და მხედველობის ჰალუცინაციები აქვს: ხედავს
თავის გარშემო გველებს, ეშინია და გარბის.

ავადმყოფობით გამწვავებულ მდგომარეობაში მოიყვა-
ნეს საავადმყოფოში. რამდენიმე თვის განმავლობაში ძლი-
ერ ალელვებულია. ჰალუცინაციები მოსვენებას არ აძლევს;
ლელავს, ღამე არ ძინავს, სრულებით არ აინტერესებს —
არც დედა და არც ძმა, რომელიც კარგად ყოფნისას მე-
ტაღ უყვარდა.

მისი მღელვარება თანდათანობით ცხრება. ჰალუცინა-
ციები თანდათანობით ჰქრება, ავადმყოფი ნელნელა უბ-
რუნდება ნორმალობას და ბოლოს იმდენად განიკურნება,
რომ შეუძლია დაუბრუნდეს ოჯახს. აქ იღვიძებს სწავლის
გაზრდელების სურვილი. აგრძელებს სწავლას, აბარებს გა-
მოცდებს, ათავებს და შედის უნივერსიტეტში. რამდენიმე
თვის შემდეგ ხელახლად ხდება ავად. ამ დროს იგი უფრო
მეტ ხანს დაპყოფს საავადმყოფოში. ფსიქოზის სურათი
წინანდელზე უარესია: მთელი საათების განმავლობაში
წევს საწოლზე გაუნძრევლად. უაზრო ქცევა აქვს, პაპი-
როსს გულზე და ხელებზე იქრობს, რაც მუდაშ დაწყლუ-
ლებული აქვს; შიშველი დაიარება, უსუფთაობას იჩენს,

უარს აცხადებს აპაზანის მიღებაზე, თეორეულს არ იცვლის; ბოლოს მაინც გამოკეთდება და გაეწერება საავადმყოფოდან: დღესდღეობით იგი დამშვიდებულია, სმენის ჰალუცინაციები აღარა აქვს, აღარც ბოდვა აქვს, მაგრან უდავოა, სრულიად საღ, სავსებით ოღდგენილ პიროვნებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან წინანდელი მისწრაფებანი აღარა აქვს. ახლა მისთვის ერთად ერთი გასართობი ტანთვარჯიშია: ზრუნვა დედისა და ძმის რჩენაზე, სრულიად უცხოა მისთვის. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ციკლურად, პერიოდულად მიმდინარე შიზოფრენიასთან. ავადმყოფი შესამჩნევად გამოკეთდა: მაგრამ მისი პიროვნება კი შეიცვალა. რამდენადაც მას არავითარი კრიტიკა არა აქვს თავის მოქმედების შესახებ და სრულიად დახშული აქვს მაღალი მისწრაფებანი, იგი, როგორც ზემოთ დახასიათებული სულით ავადმყოფები, ჭკუით სუსტია.

ავადმყოფი ბ. 6. გერმანელი (დედა ქართველი), 17 წლისას გაუთავებით შრომის სკოლა (9 წლედი); გაუთხოვარი; შემოვიდა ინსტიტუტში 23/VI—30 წ.

შთამომავლობაში აღსანიშნავია: მამით — შიზოიდური ხასიათი; გულჩათხრობილობა, მიუკარებლობა, პედანტობა, აფექტიანობა; კარგად განვითარებული, ნაკითხი, ოჯახის განსაკუთრებული მოსიყვარულე. მამის ხაზით: ერთი მამიდა შეპყრობილია ფობიებით (შიშები), რომელსაც გარდაცვალა შვილი 20 წლისა, სულით ავადმყოფობის დროს. პაპა-მამის მხრით, აგრძელვე, სულით ავადმყოფი.

დედა ცოცხალი ჰყავს: ამჟამად 50 წლისაა. ხასიათით მეტად ნერვიულია. ავადმყოფობა დაეწყო ერთი წლის წინ, შეუმჩნევლად, თანდათანიბით, შეპარვით; მუსიკის გაკვეთილებს ტოვებდა; დაიწყო სიარული ახალგაზრდებში. წინად თავდაჭრილი, დედის მოსიყვარულე, უწესოდ იქცეოდა საზოგადოებაში, დედას ხშირად უყვიროდა, არ ემორჩილებოდა. 2 წელია რაც თვიური დაეკარგა. ბავშო-

ბაში ဈლნიშნულია მხოლოდ წითელა. მოყვანილია ინსტი-
ტუტში მძლავრ კატატონიურ მდგომარეობაში, კუნთების
უაღრესი დაჭიმულობით. არ ინდრევა, არ ლაპარაკობს,
თვალები დახუჭული აქვს, საჭმელს არა სჭამს თვეისით;
იკვებება ძალდატანებით. გაწერილი იყო საავადმყო-
ფოდან ოდნავ გამოკეთებულ მდგომარეობაში 7/VII—30 წ.
მოყვანილია მეორედ 11/IX—30 წ. მას აქეთ იმყოფება
ინსტიტუტში. ამ უამად მძლავრ კატატონიურ მოვლენებს
ადგილი არა აქვს, ავადმყოფს ეჩნევა შეკავება ლაპარაკში,
სიარულში; გრძნობათა სფეროში—უაღრესი სიძულვილი
დედისადმი.

II. მანიაკალურ დეპრესიული ფსიქოზი.

Psychosis maniaco depressiva.

მანიაკალ დეპრესიული ფსიქოზი ბოლო ხანებამდე შთა-
მომავლობითი ხასიათის ავადმყოფობად ითვლება, ე. ი.
ამ სენით თითქმის ყველაა შეპყრობილი ერთი და იმავე
ოჯახის რამდენიმე წევრი. ეს ავადმყოფობა უეცარი და-
საწყისით ხასიათდება, უმეტეს ნაწილად უმიზეზოდ, მიმ-
დინარეობს პერიოდულად, ხან სრულიად იკურნება, ხან
კი კვლავ იძლევა ავადმყოფ ფორმას—საქმაოდ ხანგრძლივ
დროის განმავლობაში. ეს ფსიქოზი საინტერესოა იმით,
რომ ავადმყოფის სხევადასხვა ფორმებს იძლევა; ასე მაგ.,
თუ ავადმყოფი ამ ფსიქოზის პერიოდში აღელ-
ვებული იყო, შემდეგ განიკურნა, ის ახლა სასოწარკვე-
თილია, დასევდიანებულია, —დეპრესიაში იმყოფება.

ვნახოთ ახლა, თუ რაში გამოიხატება ეს მანიაკალუ-
რი მდგომარეობა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეს სენი
ერთბაშად იწყება, სრულიად უმიზეზოდ; იწყება აგზნებით;
ავადმყოფი ხალისიანადაა, მხიარულია, შეუძლია ბევრი

შუშაობა, სიარული. აწყობს სხვადასხვა გეგმებს; შეუდგება საქმეს, მის დამთავრებას აპირებს, მაგრამ შუა გზაზე თავს ანებებს: იწყებს სხვა საქმეს, ტოვებს მასაც, ხელს ჰკიდებს მესამეს და ასე დაუსრულებლივ.

ადვილად გამოდის მოთმინებიდან, უმნიშვნელო მიზეზზე ერთბაშად აენთება, ჯავრობს, ხშირად ხელითაც კი შეურაცხყოფს მოწინააღმდეგეს, აღელვების დროს არ ჰკარგავს გონიერას, ე. ი. კარგად იცის, თუ სად არის; სცნობს ყველას; იცის ზედმიწვნით დრო, არა აქვს დაჩლუნებული გრძნობა, რაც შიზოფრენიის დროს თითქმის აუცილებელია. ერთი სიტყვით, ემოციონალურად კარგად არის შენახული: უყვარს თავისიანები, ისწრაფვის მათვენ; ამისათვის ხშირად იპარება საავადმყოფოდან. დიდხანს დაუღალვად შეუძლია ლაპარაკი. მანიაკალურ ავადმყოფს საავადმყოფოში ადვილად გამოიცნობენ—მისი აღელვებული მდგომარეობის მიხედვით. ავადმყოფი ფეხზეა, ყოველთვის რაღაცის გაკეთება უნდა, არაფერი გამოეპარება ყურადღებიდან, მაგრამ ყურადღება ზერელე აქვს, ყველას გამოელაპარაკება, ყველაფერს გამოეხმაურება, გაგონილ სიტყვის საპასუხოდ რითმას შეაგებებს, მღერის, ცეკვავს, ხმა ჩახლეჩილი აქვს კივილის, ყვირილის, ლაპარაკის და სიმღერისაგან. ასეთ მდგომარეობაში მყოფი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. უწინარეს ყოვლისა მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დაშვიდება, რისთვისაც ექიმი წამალს გამოუწერს, მაგრამ, საქმე იმაშია, თუ როგორ მივაღებინოთ წამალი ასეთ აფორიაქებულს. ერთი ადამიანი ამას ვერ შესძლებს: აი რატომაა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უფრო მეტი მოსამსახურე-პერსონალი, ვიდრე სხვა საავადმყოფოში. საჭიროა ავადმყოფი ჩავაწვინოთ საწოლში, — ერთმა დაუჭიროს ხელფეხი, მეორეშ დაალევინოს წამალი, ან ექიმის დანიშნულება შეასრულოს.

ფსიქიატრიულ სააგადმყოფოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კარების სათანადო დაკეტვას, რათა ავადმყოფს არ მიეცეს პალატიდან გამოსვლის საშვალება.

ფსიქიატრიული სააგადმყოფოს სათანადო რეემიმი ხშირად ჰქარგავს ავადმყოფს; იგი უბრუნდება ოჯახს, თავის საქმეს, მაგრამ გავიდა რამოდენიმე ხანი და სენმა კვლავ იჩინა თავი, მაგრამ ახლა სრულიად საწინაღმდეგო ფორმაში: ავადმყოფი სასოწარკვეთილია, მისი თვალები სევდის საგუბარია. შებლზე სევდის დამახასიათებელი ნაოჭი გაწარილია. თვალები მუდამ ცრემლით აქვს სავსე. ძნელია მისგან პასუხის მიღება რაიმე შეკითხვაზე; თუ ხმა ამოაღებინეთ, გაიგებთ შემდეგს: ის ქვეყნის მეტი ბარგია, არავისთვის არ არის საჭირო, მას სიცოცხლე არ უნდა, რის გამოც მას ყოველ წუთს შეუძლია აუტეხოს თავის-თავს რამე უბედურება. თუ გამოგისხლტათ თვალთახედვიდან, შეიძლება გაგებაროთ საპირფარეშოში და ჩამოიხრჩოს თავი, ან გადავარდეს წყალში. იშვიათი შემთხვევა არ არის სულით ავადმყოფთა თვითმკვლელობა.

ასეთ ავადმყოფისთვის საჭიროა მყუდროება. ალერსიანი სიტყვა, ნუგეშის მიცემა, გამხნევება, დეპრესიაში მყოფი თავის ნათქვამი: თუ გადასწყვიტა თავის მოკვლა, აღრე თუ გვიან მოიყვანს სისრულეში. შეიძლება მისი გადარჩენა ერთ, ხელ, ორჯერ, სამჯერ, მეოთხეჯერ კი ის თავის მიზანს მიაღწევს; საჭიროა განსაკუთრებული თვალყურის დევნება: გავა თუ არა საპირფარეშოში, თანვე გაჰყვებით. იშვიათი შემთხვევა არ არის, როდესაც სულით ავადმყოფი პერანგის ნახევით ჩამოიხრჩობს თავს საწოლზე.

აქამდე არ უნდა მიიყვანოთ! ეცადეთ სიკვდილს გადაარჩინოთ ავადმყოფი აღამიანი, დაუბრუნეთ ოჯახს ძეირფასი არსება; შვილებს — მშობლები, დაწესებულებას —

კარგი მუშაკი, საზოგადოებას — საჭირო წევრი. ეს უდიდესი სამსახურია ფსიქიატრიისა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოს ყველა თანამშრომელთა. გაივლის რამდენიმე თვე, შეიძლება წელიწადი, და ავადმყოფი დამშვიდდება, მოვა გონს, ჩადგება კალაპოტში, გაიხსენებს თავის სენს, დაუბრუნდება თავის ოჯახს, შეუდგება თავის საქმეს და კვლავ შეიქმნება სრულუფლებიან პიროვნებად.

ავადმყოფი მ. ს. მოიყვანეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ძლიერ აღელებული. 42 წლისაა; გათხოვილი, რამდენიმე შვილის დედა. ვიღრე ავად გახდებოდა მარტოხელა უვლიდა ოჯახს და სახესგით აქმაყოფილებდა კიდეც. გლეხია, თვითონ რეცხავს, ჰყარავს და აკოტებს ქმარ-შვილის სამოსელს. პურის მცხობელიც თვითონაა; თვითონვე მიაქვს საფეხვავი წისქვილში. ერთი სიტყვით, რაც კი საჭიროა გლეხის ოჯახისათვის, ყველაფრის გამკეთებელია.

ახლა კი თავის წლოვანების და მდგომარეობის შეუსაბამო ქარაფშუტაობას იჩენს: მხიარულია, მღერის, ცეკვას, ბეგრს ლაპარაკობს, ყველას გამოეკიდება, ყველაფერში ჩაერევა. შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს საერთო აგზება ლაპარაკის, მოძრაობის და გუნების; მშვენივრად ერკვევა დროსა და გარემოში; კარგად იცის, რომ სულით ავადმყოფთა სამკურნალოშია; თვითეულ ექიმს იცნობს, იცის სახელი და გვარი თვითეულ მესასთუმლისა, სანიტარისა, დამლაგებლისა; იცის წელი, თვე და რიცხვი მიუხედავად ძლიერ აგზებული მდგომარეობისა, ავადმყოფთან ლაპარაკი შესაძლებელია და სწორი პასუხის მიღებაც. მეხსიერება საუკეთესო აქვს: იგონებს განვლილ ცხოვრების უმნიშვნელო დეტალებსაც კი. თავის თავს, რასაკვირველია, ავადმყოფად არ თვლის; თავის საქციელს კრიტიკას არ უკეთებს; თავი გულგარულად უჭირავს, ცინიკურ სიტყვებს ამბობს, სირცხვილის გრძნობა დაქვეი-

თებული აქვს; ასე მაგ., მთლად იხდის ტანთ ყველასთან; იქმაყოფილებს საჭირო მოთხოვნილებას ავადმყოფების და საავადმყოფო პერსონალის წინაშე. სექსუალურადაც აგზნებულია, და უსირცხვილოდ ელაპარაკება გარშემო მყოფთ ამის შესახებ. საავადმყოფოში 5 წელი დაპყო; ავადმყოფობის გამწვავებისას ოთხჯერ განვლო მანიაკალური მდგომარეობა, განკურნებისას გაეწერებოდა საავადმყოფოდან, უბრუნდებოდა ოჯახს, ნორმალურ ცხოვრებას. ამ შემთხვევაში ჩვენ, რასაკვირველია, საქმე გვაქვს მანიაკალურ დეპრესიულ ფსიქოზთან ე. ი. პერიოდულ ფსიქოზთან, მაგრამ იმისთანა ფსიქოზთან, რომელიც ყოველთვის იძლევა მანიაკალურ აგზნებას — მანიაკალურ მდგომარეობას.

შემდეგი მაგალითიდან ჩვენ დავინახვთ ავადმყოფობის სულ სხვაგვარ მიმღინარეობას. ავადმყოფი ი. მ. შემოვიდა საავადმყოფოში 1923 წ. გამწვავებულ დეპრესიულ მდგომარეობაში. 35 წლისაა, ცოლშვილიანი, ორი შვილი ჰყავს, პროფესიით — ზეინკალი, წერა-კითხვის მცოდნე, თავის საქმის ზედმიწვნით შემსრულებელი; თავის მარჯვენით არჩენს მთელ ოჯახს. ავადმყოფობა ერთბაშად და უმიზეზოდ დაეწყო — დასევდიანებით: ღამე არ სძინავს, ოხრავს ლაპარაკი არავისთან არ უნდა: მთელი დღეობით შინ ზის, თავის თავზე თვითდამცირების იდეებს გამოსთქვამს.

ღირსი არ არის თავის ცოლშვილისა; ზედმეტი ბარგი, საზოგადოების ტვირთია, სიცოცხლე არ უნდა; თხოულობს, რომ მოწამლონ, ჩამოახრჩონ, წყალში გადააგდონ, დახვრიტონ. ორჯელ თავის ჩამოახრჩობა განიზრახა. საავადმყოფოში იმავე მდგომარეობაშია: სევდიანი, უმოძრაო; სიცოცხლე ძულს, ტირის, გულში მუშტს ირტყამს. ასეთი ავადმყოფიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მას შეუძლია ყოველ წუთში ზიანი მოუტანოს თა-

ვის თავს. ერთ წამს თვალთახედვიდან გამოეპარა მოწყალების დას და სანიტარის; სასოჭარკვეთილმა ისეთი ძალით დააჯახა თავი კედელს, რომ შუბლზე და ქუთუ- თოებზე სისხლის ჩაქცევით აღგილები გაულურჯდა. საჭ- მელზე უარს ამბობს,—ლირსი არა ვარო! ვავიდა რამო- დენიმე თვე, და თანდათანობით დამშვიდდა, გუნება საუ- კეთესოდ შეეცვალა, ესაუბრება გარშემო მყოფთ, შინის- კებ მიიღოვის. საუკადმყოფოდან გაწერვა უნდა. წუხს, რომ ოჯახი უპატრონოდ დარჩა, უნდა შვილების ნახვა და სხვადასხვა.

სრულიად ვანკურნებული გაეწერა სამკურნალოდან. რამდენიმე თვის შემდეგ გავიგეთ, რომ სრულიად ჯან- საღაღაა: ბევრს მუშაობს, სევდა უკუ აგდო, კარგად ახ- სოვს თავის ავადმყოფობა, კრიიტიკას უწევს თავის საქ- ციელს; ამბობს, რომ არ ძალუძია მასთან ბრძოლა; — ვდუმდიო, — ამბობს, — იმისთვის კი არა, რომ არ შემეძლო პასუხის გაცემა მოცემულ კითხვებზე, არამედ ლაპარაკის სურვილი არ მქონდაო! ასეთი ავადმყოფი მეტად ზანტად აზროვნებს, ასე მაგ., როდესაც საპირფარეშოში გასვლა სჭირდება, დევბა, მაგრამ დიდ ხანს არის გაჩერებული ერთ ადგილას, ჟდაძერა არ შეუძლია; უნდა ჭამა - სმა, რასაც შეუძლია მიწვდეს გვერდით მაგიდაზე, მაგრამ არ ძალუძის ხელის გაწვდენა. გაიწვდის ხელს და უაზროდ შეჩერებს. ამ სახით მიმდინარეობს დეპრესია მომეტებულ შემთხვევაში.

III. პროგრესული სიღამბლე – Paralysis progressiva.

პროგრესული სიდამბლე ისეთი ფსიქიური დაავადებაა, რომელიც წარმოიშობა სიფილისის, ან ათაშანგის ნია- ღაზე. საინტერესოა შემდევი მოვლენა: ათაშანგით და-

ავადებულია ოომელიმე პიროვნება, მაგრამ ეს იმას არ
ნიშნავს, ოომ მას უსათუოდ პროგრესული პარალიზი
უნდა დაემართოს. მხოლოდ ის პირი, ოომელსაც პრო-
გრესული პარალიზი დაემართება, უთუოდ წარსულში
ავად ყოფილი ლუქსით. ამას უნდა დავუმატოთ კიდევ
ის, ოომ მკურნალობა ათაშანების წინაღმდევ არ გაუტა-
რებია და თუ შეცდილა, ისიც არა სისტემატიურობით.
საგულისხმოა, ოომ ათაშანებით დაავადების შემდეგ გაივ-
ლის არა ნაკლები 3 წელიწადისა და მერე გამოაჩნდება
სულიერი აშლილობის ნიშნები. ავადმყოფობა იწყება
უმნიშვნელოდ, იოლი ჩივილებით; ცუდად ძინავს, მუშაო-
ბის დროს ადვილად იღლება, ოდნავი მეხსიერების შე-
სუსტება აქვს, ზოგჯერ თავის ტკივილი აქვს და, აგრეთვე,
ნერგიულობს. როდესაც ავადმყოფი მიდის ექიმთან ასეთი
ჩივილებით ექიმი, რასაკვირველია, არ ფიქრობს, რომ
აქიდან შეიძლება განვითარდეს ის საშინელი ავადმყო-
ფობა თავისი საშინელი გამოსახულებით, რომელსაც ეწო-
დება პროგრესული სიღამბლე. სრულიად შესაძლებელია,
რომ ეს ჩივილები თუ, რასაკვირველია, სხვა ნიშნები არ
არსებობს, სავსებით ჩაქრეს ექიმის სწორი მკურნალობის
შემდეგ. საქმე იმაშია, რომ დალლილობის შედეგად შე-
საძლოა გვქონდეს ის ჩივილები, რომელიც ჩვენ ზემოდ
აღნიშნეთ: ე. ი. თავის ტკივილი, უძილობა და სხვა.
ექიმის მოვალეობას შეაღენს წინასწარ გაითვალისწინოს
ის საშინელი შედეგები, რომელიც მოელის ავადმყოფს;
უნდა გამოჰკითხოს დაწვრილებით წარსულის შესახებ:
იყო თუ არა ლუქსით დაავადებული და, ამავე დროს,
გაუსინჯოს ავადმყოფს ფიზიკური ნიშნები, ურომლისო-
დაც პროგრესული სიღამბლე თითქმის არ არსებობს. რა
არის კიდევ ამ ჩივილებთან ერთად? — თვალის გუგების რე-
აქციის შესუსტება, მეტყველების მოშლა! ე. ი. ავად-
მყოფს უჭირს ძნელად გამოსათქმელი სიტყვების წარ-

მოთქმა, განსაკუთრებით უხმო ბგერებისა (ამიტომ ეძლევა ავადმყოფს გამოსათქმელად ფრაზა: „თეთრ საყდარში თეთრი მტრები ფრთა-თეთრი და ფრთა-ფართატი“). დეტალური გამოკითხვის შემდეგ თვალსაჩინო გახდება, რომ ავადმყოფი გამოიცვალა სხვა მხრივაც; აღარ ეპურობა თავის სამსახურს წესიერად, ფლანგავს უწესრი-გოდ ფულს. ამას ემატება უწესო მოქმედება საზოგადოე-ბაში, ქუჩაში, სამსახურში, სახლში აღარ ჩერდება, და-დის აქეთ-იქით, აწებებს ყველას, აღელვებულია, გამო-სთქმაში ბოდვით იდეალებს: იგი აუარებელი ქონების პატრონია, შეუძლია ცალი ხელით ასი და ათასი ფუთი ასწიოს. მწვავე მდგომარეობაში აგზნებულს მოიყანენ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სადაც მას ავადმყო-ფობა უღრმავდება. ბოდვებს დაემატება მეხსიერების მძლავრი მოშლა, სრულიად უაზრო ჭრევები; კრიტიკა აღარა აქვს და აშკარად ეტყობა საერთოდ ჰქუით და-ქვეითება. ამასთანავე ავადმყოფი სუსტდება ფიზიკურად, ლაპარაკს ვერ ახერხებს. თუ მას დასაწყისში უძნელდე-ბოდა უხმო ბგერების გამოთქმა, ახლა ის მარტივ, ადვი-ლად გამოსათქმელ სიტყვებსაც ვერ იტყვის; სისუსტის გამო ველარ დგება საწოლიდან, ველარ სცნობს გარშემო მყოფ, არაფერი აინტერესებს, უჭირს საჭმლის გადა-ყლაპვა, უჩნდება ნაწოლები და, ამნაირად, მალე იღუ-პება. ეს უკანასკნელი პერიოდი განსაკუთრებულად საყუ-რადლებოა და სწორედ ამ ხანაში, ამ პერიოდში ავად-მყოფი მეტი ყურადღებას, მოვლას და პატრონობას საჭი-როებს. ჭამის დროს მორიგი პერსონალი ვალდებულია თავზე ადგეს ავადმყოფს; საჭმელი უნდა ეძლეოდეს ხე-ლით, რადგან ყლაპვის გაძნელების გამო ავადმყოფი ჭა-მის დროს შეიძლება დაიხრის; ნაწოლებს მეტი ყურად-ღება უნდა მიექცეს: უსუფთავდებოდეს ყოველ დღე, ექი-მის დანიშნულების მიხედვით უკეთდებოდეს. სათანადო

წამალი, მექსიერების უაღრესი შესუსტების გამო ავად-
მყოფი საპირფარეშოში გასვლისას თავის პალატას, თავის-
საწოლს ველარ სცნობს, ამიტომ მექასთუმლე ვალდებუ-
ლია გააცილ-გამოაცილოს ავადმყოფი საპირფარეშოში.
რაც უფრო ადრეა გამოცნობილი ავადმყოფობა, რაც
უფრო ადრეა დაწყებული სათანადო მკურნალობა და
საესებით წესიერადაა გატარებული, მით უფრო მეტი
იმედებია ავადმყოფის მორჩენისა. ათაშანგით გამოწვე-
ული ავადმყოფობა, ეჭვს გარეშეა, უნდა მოისპოს ათა-
შანგის საწინაღმდეგო მკურნალობით. სინდიკით, დარიშ-
ხანის პრეპარატებით, სალვარსანით, ნეოსალვარსანით,
ბიობინოლით. უკანასკნელ ხანებში ძალიან გავრცელებუ-
ლია მაღარიით მკურნალობა. ავადმყოფს უშხაბუნებენ
მაღარიით დაგადებული ავადმყოფის სისხლს; ამნაირად
გამოუწვევენ მას მაღარიის შეტევებს 10-15, ამის შემდეგ
დაუწყებენ მას ქინაქინით მკურნალობას, რათა მოაშო-
რონ მას მაღარია.

1. ავადმყოფი ჩ. 42 წლის, ვექილი, მოიყვანეს სა-
ავადმყოფოში აგზებულ მდგომარეობაში. სახლში აუტა-
ნელი გახდა; სამსახურში აღარ დადის; აგრ 5 თვეზე
მეტია ატარებს ფუქსავატურ ყოფა-ცხოვრებას; იჩენს
უზნებას: ქუჩაში დასდევს ახალგაზრდა ქალებს. წინად-
იყო წესიერი პიროვნება, დარბაისელი, ოჯახის მოსიყვა-
რულე. ერთ დღეს, როდესაც მის უფროსს ქალიშვილთან
ამხანაგები არიან, შედის ოთახში და წინადადებას აძ-
ლევს ერთერთ ახალგაზრდა ქალს გარკვეული მიზნით.
მერე იქვე მიუბრუნდება თავის ცოლს და გამოუცხადებს,
რომ დღეიდან მას ეყრება; თავს ახალ ცოლს გადაეხვევა-
და აკოცებს. ეს უცნაური ამბავი საკმარისი იყო, რომ
ცოლს მოეწვია სახლში ექიმი ფსიქიატრი, რომელმაც
სხვა მრავალი ავადმყოფური ნიშნები აღმოაჩინა. ეს იყო
თვალის გუგების რეაქციის შესუსტება, მეტყველების

შოშლა. აღმოჩნდა, რომ მას ათი წლის წინად ათაშანები სჭირდა. ექიმის რჩევით ავადმყოფი საავადმყოფოში მოათავსეს. საავადმყოფოში ჩ. უფრო მეტად ამჟღავნებს ავადმყოფობას: მოუსვენრობს, ბევრს ლაპარაკობს. გამოსთქვამს ბოდვით იდეებს; პარიზიდან გამოწერილი აქვს რაღაც საუცხოო მექანიზმის საათი; აუარებელი საპასუხისმგებლო საქმეები აქვს დატოვებული, ამისათვის ესაჭიროება საავადმყოფოდან გასვლა. ქალაქ გარეთ აშენებს დიდებულ სასახლეს, სადაც თავი უნდა მოუყაროს ყველა ლამაზ ქალებს; ხშირად თხზავს ასეთს უაზრობას და შეუსაბამობას. ავადმყოფობა ჩქარი ნაბიჯით მიმღინარეობს. მოკლე ხანში იგი საგრძნობლად გახდა. ორჯერ, სამჯერ მოუვიდა ეპილეპსიის მაგვარი გულყრები, რომლის დროს ავადმყოფმა გონება დაჭკარგა და შემდეგ ლაპარაკს ველარ ახერხებდა; სრულებით ველარ სცნობდა თავის მახლობლებს, ხელფეხი მოუდუნდა, ველარ ხმარობდა, ველარ დადიოდა, თავისით ვერაფერს იღებდა ხელით, ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

2. ავადმყოფი ბ. 37 წ. გათხოვილი ქალი, შეილები არ ჰყავს; მეორედ არის გათხოვილი. მეორე ქმრისაგან შეეყარა ლუესი. ყურადღება ავადმყოფობისათვის სრულიად არ მიუქცევიათ. გაატარა მხოლოდ მკურნალობის ერთი კურსი; შემდეგ საგსებით დაივიწყა ავადმყოფობა. ქმარი აღნიშნავს, რომ უკვე 1 წელია, რაც მისი ცოლი ძალიან ნერვიული გახდა; უნიშვნელოდ ღელავს, ხშირად თავდავიწყებამდე ყვირის, ოჯახს არავითარ ყურადღებას არ აქცევს, ხშირად დადის მეზობლებთან და ზოგჯერ უწესოდ იქცევა ქუჩაში, ღამე ცუდათ ძინავს, თავის ტკივილი დასჩემდა. ხშირად ივიწყებს რაიმე დავალებას. გულმავიწყი გახდა, საავადმყოფოში მოთავსებულია — დიდი მოუსვენრობისა და უაზრო ლაპარაკის გამო. იგი ლამაზი შეხედულებისაა, საუკეთესო მოცეკვავე, სახელ-

განთქმული მთელს ევროპაში; აქვს ასი აბრეშუმის კაბა, თორმეტი წყვილი ფეხსაცმელი; ამ მოკლე ხანში მართავს დიდ ზეიმს, რომელზედაც მოწვეული იქნება. ათი-ათასი სტუმარი; მას აქვს უზომო სიმღიდრე და სხვა... მრავალ ფსიქიურ ნიშნებთან ერთად მას აქვს, აგრეთვე, თვალის გუგების რეაქციის უქონლობა, მეტყველების მძლავრი მოშლა. საავადმყოფოში გაატარა ნეოსალვარსანით მკუონალობა. აგზნებამ საგრძნობლად უკლო და ტვინში დაწყებული პროცესი იმდენად შეაჩერა, რამ ავადმყოფი სახლში გაწერასაც მოითხოვდა: კარგად ექცეოდა ქმარს, ბოდვაც განელდა. მაგრამ მაღვე ავადმყოფის მდგომარეობა გართულდა, შეიქნა განურჩეველი, მეხსიერება საგრძნობლად შეუსუსტდა, ანგარიში აღარ შეუძლია, არ დგება საწოლიდან, ლაპარაკი აღარ შეუძლია, სიტყვების შაგიერად რაღაც ლულლული ისმის, საპირფარეშოში აღარ გამოდის, ლოგინს ასველებს, ველარ სცნობს თავისიანებს და რამდენიმე კვირის შემდეგ იღუპება.

ახლა ჩვენთვის სრულიად ცხადია, რომ პროგრესიული პარალიზი შეუძლებელია უათაშანგოდ, მხოლოდ მაშინ, როდესაც ათაშანგის საწინაღმდეგოდ დროზე მიღებულია სათანადო ზომები. იმ შემთხვევაში პროგრესული სიღამბლის თავიდან აცილება შეიძლება.

IV. ეპილეპსია – Epilepsia.

ეპილეპსია არის ტვინის ისეთი დაავადება, რომლის დროს ავადმყოფს დრო-დრო მოსდის კრუნჩევითი სახის მოვლა. ავადმყოფი სრულიად მოულოდნელად ეცება უგრძნობლად, პირისახე გაწითლებული აქვს, სუნთქვა უჭირს, რის გამოც ხრიალებს, აქვს ხელების და ფეხების კრუნჩევითი მოვლა. თვალის გუგები ძლიერ გაგანიერებული აქვს, სინათლეზე რეაქცია მოსპობილი. ზოგჯერ

ავადმყოფი ენაზე იქცენს, პირიდან სისხლში შეღებილი დუյი გამოსდის, უნებლიერ შარდს აქცევს, ზოგჯერ განავალზედაც გადის. ამ დროს გულყრა არ არის ხანგრძლივი; რამდენიმე წამის შემდეგ (3-5) ავადმყოფი თანდათანობით გამოდის უგრძნობ მდგომარეობიდან; უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფი უშუალოდ გადადის ძილის მდგომარეობაში, ანდა გრძნობს დიდს დალლილობასა და დამტკრეულობას.

ფსიქიატრიაში ეპილეპსიას მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც ამ ავადმყოფობის დროს შეიძლება არსებდეს ფსიქიური მოვლენებიც. არის ისეთი შემთხვევა ეპილეპსიის დროს, რომ ავადმყოფს გულყრა არ მოუგა, ამის ნაცვლად აქვს ხანგრძლივი მძლავრი ფსიქიური აშლილობა ცნობიერების შეცვლით, ე. ი. ის ვერ ერკვევა ადგილში, დროში, გარემოში; ვერ სცნობს გარშემო მყოფთ, აქვს მრავალი ილუზიები, სმენის და მხედველობის ჰალუცინაციები, ხშირად შემჩარავი ხასიათის; აქვს დიდი შიში; თავდაცვის მიზნით ის იბრძვის, ხმარობს იარაღს; ადვილი შესაძლებელია, რომ მან ჩაიდინოს რაიმე ბოროტმოქმედება. ამ მდგომარეობაში ის უთუოდ უნდა იყოს მოთავსებული ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, რათა აცილებულ ჰქონდეს უბედურება ავადმყოფის ოჯახს, დაწესებულებას და საზოგადოებას.

ეპილეპსიას შეიძლება სულ იოლი გამოსახულება ჰქონდეს: ამ დროს არ არის რაიმე კრუნჩხვითი მოვლენები, არც ხანგრძლივი ფსიქიური აშლილობა, მაგრამ შესაძლებელია ავადმყოფს უცბად, სრულიად მოულოდნელად შეეცვალოს ცნობიერება, გაშტერდეს, გაყუჩდეს, წუთით შესწყვიტოს ლაპარაკი, მერე ისევ განაგრძოს რასაც აქამდე აკეთებდა. ამისთანა ეპილეპსიის გამოსახულებას ფრანგებმა უწოდეს Petit mal ანუ იოლი პატარა ეპილეპსია. ეპილეპსიის ეთიოლოგია ჯერჯერობით სავსებით

არ არის გამოკვლეული; მაინც ვიცით, რომ ზოგიერთ
 შემთხვევაში ავადმყოფობა გამოწვეულია მემკვიდრეობით.
 მშობლების ათაშანვით ან ალკოჰოლიზმით! შესაძლებელია
 ეპილეპსიით დაავადდეს თვითონ ის პირი, რომელ-
 საც ათაშანვი სჭირდა, ან თვითონ მსმელი იყო. ეპილეპ-
 სია, რაც გადმოცემულია ტემკვიდრეობით, უმეტეს შემ-
 თხვევაში რამდენიმე წლის შემდეგ გამოაჩენს სუსტკუო-
 ბას; ეპილეპსიით გამოწვეულ სუსტკუობას ეწოდება
dementia epileptica. ავადმყოფს თანდათანობით აკლდება
 მეხსიერება, არ შეუძლია ანგარიში, კრიტიკა დაქვეითე-
 ბული რქვს, მსჯელობის უნარი აღარა აქვს, ძლიერ სუს-
 ტად აზროვნებს, აღარ ზრუნავს ოჯახზე, მისდევს პირ-
 უტყვულ ცხოვრებას. ეპილეპსიის მცურნალობის მიზნით
 ხმარობენ ბრომის პრეპარატებს. უკანასკნელ ხანებში კა
Luminali, რომელსაც აძლევენ ავადმყოფს გამუდმებით,
 შეწყვეტა არ არის ნაჩენები. წინააღმდეგ შემთხვევაში
 ეპილეპსიამ შეიძლება მიიღოს მწვავე გამოსახულება, ის
 რასაც უწოდებენ *status epilepticus* (ეპილეპსიის მდგომა-
 რეობა), ე. ი. ავადმყოფს გულყრის შემდეგ ხელმეორედ
 ემართება გულყრა და ა. შ. არის ზოგჯერ ისეთი შემ-
 თხვევა, როდესაც 10-15 ან მეტი გულყრა დაემართება
 ავადმყოფს, რომლის დროსაც შეიძლება დაიღუპოს. თვით
 გულყრის დროს საჭიროა, რომ ავადმყოფი მოთავსებულ
 იქნას საწოლზე; საყელო თავისუფლად უნდა ჰქონდეს,
 სასურველია სრული სიმშებდე და სიწყნარე.

1. ავადმყოფი მ. გ. მოიყვანეს საავადმყოფოში 1923 წ.,
 შედარებით კარგ მდგომარეობაში. თვითონ ავადმყოფი
 უჩივის დრო-დრო გულის წასვლას ცნობიერების შეც-
 ვლით. მშობლების გადმოცემით ეს ავადმყოფობა დამარ-
 თია მას მის შემდეგ, როცა მან ნახა ქალი. რომელიც
 სახურავიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა. აი სურათმა
 ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მას შემდეგ

ავადაა; დედის სიტყვით ბავშობილანვე განსაკუთრებული
 ბრაზიანი ხასიათის ყოველი, იცოდა ადვილად გულის მოსვლა,
 გაჯავრების დროს თავდავიწყებამდე მისვლა, იყო ფინიანია;
 თუ მოისურვებდა რამეს, უთუოდ უნდა შესრულებულიყო;
 წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყებდა ყვირილს, ტირილს,
 სიბრაზისაგან დავარდებოლა იატაკზე, აბრახუნებდა ფე-
 ხებს. ჰყავს ექვის ძმა; ამათში 2 ძლიერ სასტიკი, ბრა-
 ზიანი; ერთი მათგანი გაჯავრების დროს მოსალოდნელია
 მკვლელობამდე მივიღეს. მამა ძალიან ეტანება ღვინოს
 და, საერთოდ, მაგარ სასმელებს. დედა უაღრესად ნერ-
 ვიული პიროვნებაა. მამის მხრივ ერთერთი ბიძა გულ-
 მოდებინედ ლოთობს. საავადმყოფოში ყოველ უსიამოვნო-
 ბაზე ჩვენს ავადმყოფს ბრაზი მოსდის. იცის გულის წა-
 სვლა. ხასიათით ადვილად მგზნები, ძლიერ აფექტიანია;
 სიბრაზისაგან ხშირად მივარდება და ვინმეს ხელზე უკ-
 ბენს. შემდეგში გულყრის მაგიერ მოსდის დროებითი ფსი-
 ქიური აშლილობა—ცნობიერების შეცვლით. ილანძღება,
 ჯავრობს, ბრაზობს, არავის არა სცნობს, იჩენს აგრესიას.
 ამჟამად გონების დაჩრდუნება აშეარად ეტყობა: განურ-
 ჩეველია, შინაურებს არა ჰქითხულობს, არა აქვს სურ-
 ვილი სახლში წასვლისა, მეხსიერება ძლიერ დაქვეითე-
 ბული აქვს, აზროვნებას მოქლებულია, კრიტიკა დაწეული-
 ბას აქვს ეპილეპსიის ნიადაგზე სუსტ ჭკუობა — ლათინუ-
 რად dementia epileptica.

V. ალკოჰოლიზმი – Alkoholismus.

ავადმყოფობა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ალკოჰო-
 ლიზმს, გამოწვეულია, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს,
 ალკოჰოლით ე. ი. სპირტით და ყველა იმ სითხით, სა-
 დაც შედის სპირტი—ალკოჰოლი; ეს არის—არაყი, ღვინო,
 ლუდი და სხვა... შევა თუ არა ალკოჰოლი ადამიანის.

სხეულში, სისხლის საშუალებით გადადის ნერვიულ სის-
ტემაში, აღწევს თავის ტვინს, აღიზიანებს თავის ტვინის-
ქერქს და იწვევს სხვადასხვა ცვლილებებს აღამიანის ფსი-
ქიურ ცხოვრებაში. ყველას გვინახავს მთვრალი ადამიანი,
რომელსაც უწესო სიტყვა უთქვამს საზოგადოებაში, უწესო-
რამ ჩაუდენია, ზოგჯერ ავრესი გამოუჩენია. პატიოსანი
პიროვნება, ჩვეულებრივ თავდაჭერილი, კეთილი ადამიანი
ყველასთვის პატივსაცემი და ცნობილი, ღვინის ზეგავლე-
ნით სრულიად გამოიცვალა. დროებით გამოსულ წონა-
სწორობიდან მოიცა ზემოდ მოყვანილი სურათი. ეს, რა-
საკვირველია, დროებითი მოვლენა იყო. ღვინომ თავის
ტვინის ქერქი გააღიზანა მხოლოდ არ დააზიანა. მთვრალ-
მა გამოიძინა; სპირტმა დატოვა მისი სხეული, გაანთა-
ვისუფლა თავის ტვინის ქერქი გაღიზიანებიდან და პი-
როვნება სავსებით აღდგა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყო-
ველთვის ასე არის. შესაძლებელია ადამიანს ჰქონდეს
ისეთი ნერვიული სისტემა, რომ თავის ტვინის ქერქი,
რომლისათვის ალკოჰოლი — სპირტი შხამი არის, მაშინ
ამისთანა პირზე ალკოჰოლი სულ სხვანაირად იმოქმედდებს;
ღვინის დალევის დროს ის იმდენად გამოიცვალა, რომ
არ იცის სად იმყოფება. ვის ელაპარაკება, რას ამბობს;
მეტყველებით აგზნება აქვს, ხელებს აქნევს, ყვირის, ჩხუ-
ბობს, იცემება; შეიძლება ჩაიდინოს რაიმე ბოროტმოქ-
მედება, საზოგადოებისათვის საშიშროებას წარმოადგენს.
იმ პირთ, რომელნიც სვამენ გიდაჭარბებულად და გამუდ-
მებით, ჩვენ უწოდებთ ქრონიკულ ალკოჰოლიკებს. გა-
რეგნული გამოსახულებით და გამოკვლევით ჩვენ დავნა-
ხავთ მათ სხვადასხვა ავაღმყოფურ ნიშნებს.

მაგ., ქრონიკულ ალკოჰოლიკებს თვალის ქუთუთოები,
ენის წვერი და თითები უკანკალებს, სახე გამუდმებით
გაწითლებული, გალურჯებული აქვს, ნამეტნავად ცხვირი;
თვალები დასისხლიანებული; მეხსიერება ძლიერ შესუს-

ტებული, გაძნელებული აზროვნება, გონების დაჩლუნგება; ერთი სიტყვით, ჰქუასუსტობა ალკოჰოლის ნიადაგზე ანუ dementia alkoholica.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არაიშვიათად შევხვდებით იმისთანა ავადმყოფებს, რომებიც იმყოფებიან მძლავრ აგზნებულ მდგომარეობაში. აქვს აუარება სმენის და მხედველობის ჰალუცინაციები, შეცვლილი ცნობიერება, დიდი შიში; სადღაც გარბიან, ეჩერებათ წვრილი მწერები, პატარა ცხოველები, თავგები, ბაყაყები და სხვა. ამ დროს ავადმყოფი აწარმოებს იმისთანა მოძრაობებს, თითქოს ამ პატარა პირუტყებს იშორებს, ჰკრეფავს საწოლიდან და იატაჭზე ჰყრის. ასეთი მწვავე მდგომარეობა გასტანს სულ რამდენიმე დღეს (3-4). ავადმყოფი მშვიდდება, უბრუნდება ნათელი ცნობიერება და მის შემდეგ აღარ საჭიროებს საავადმყოფოში ყოფნას; ასეთი მძლავრი აგზნება, შიშით, ცნობიერების შეცვლით,—გამოწვეულია ქრონიკული ალკოჰოლიზმით. იმ პირთ, რომებიც გადაჭარბებით სვამენ, ხშირად ემართებათ ფილტვების ანთება და შემდეგ ის გართულება, რომელიც ჩვენ ზემოთ აღნიშნეთ. ამ დროებით ფსიქიურ აშლილობას ეწოდება delirium tremens, ქართულად—„თეთრი ცხელება“ (белая горячка). მწვავე აგზნების დროს ავადმყოფი, რასაკვირველია, საჭიროებს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებას, დაშვიდებას, აბაზანებს, გულის გასამაგრებელ წამლებს.

VI. დიპსომანია – Dipsomania.

დიპსომანიის დროს ავადმყოფი იჩნებს დრო-დრო მის-წრაფებას ალკოჰოლისადმი. გამწვავებულ პერიოდში ავადმყოფი მიიღოს ღვინისაკენ; მისთვის არ არსებობს არც დაჯერება, თხოვნა, ოჯახისადმი პატივისცემა, საზოგა-

დღებრივი შოგალეობა; ის ეძებს შხოლოდ და შხოლოდ ლვინოს; ლვინისთვის გაჭყიდის იგი უკანასკნელ ნივთებს, ტანთსაცმელს და ფეხსაცმელს. სვამს ზოგჯერ მთელი კვირის განმავლობაში თავდავიწყებამდე. შემდეგ გამობრუნდება, საკებით მიატოვებს ლვინოს; გაივლის რამდენიმე თვე შეიძლება წელიც და მას ხელახლა მოუბრუნდება ავადმყოფური მისწრაფება ლვინისადმი და არაყისადმი. ამისთანა პიროვნება ნებისყოფას მოკლებულია, ნათელ პერიოდში ის გრძნობს, რომ უწესოდ მოიქცა. თავს დიდხანს იკავებს, მაგრამ ამაռოდ, ვერ ეწინააღმდეგება, სურვილის თავდავიწყებამდე მიღის და სვამს,

ასეთი პიროვნება თითქმის ყოველთვის მცირე გამონაკლისის გარდა, მემკვიდრეობით ძლიერ დატვირთულია ხოლმე, ე. ი. მამის ან დედის ხაზით, ზოგჯერ როგორც მამის, აგრეთვე, დედის მხრივ აღნიშნულია შთამომავლობაში ალკოჰოლიზმი, ეპილეპსია, ლუერსი, თვითმკედლობა, სულით დაავადება, ჭკუით თანდაყოლილი ჩამორჩენილობა და სხვა.

VII. მოცულებულობის ფსიქოზი – მოცულებულობის პარასუსტობა.

Psychosis senilis—dementia senilis.

ჩვეულებრივ 60 წლის შემდეგ მოხუცი აღამიანი ძალონეს მოკლებული, ფიზიკურად დასუსტებული, ცხოვრებით დაღლილი, ნელის ნაბიჯით დაიირება, ნაკლებად მოძრაობს, ცოტას ლაპარაკობს, ცუდად ხედავს, წესიერად ვერ აზროვნებს, ყველა მისი შინაგანი ორგანო და, მათთან ერთად, ტვინიც დაბერებულია. ძვლები მოკლებულია კირის მარილებს, ადვილად იმტვრევა და, შესალოა, სულ უბრალო მიზეზმა გამოიწვიოს ძვლის გადა-

შტრევა. მოხუცებული ვერ გაივლის ზურგით გასწორებული—წინაა წახრილი, რადგან ხერხემლის მილებს შორის ხრტილი მოკლებულია ჩეულებრივ ელასტიკობას, სისხლის მილების კედლები გამკვრივებულია, გასქელებული; ნაპრალი შევიწროებულა, ამისთვის პერიფერიული ნაწილები ქვედა და ზედა კიდურები ნაკლებად იკვებებიან; ამისათვისაა ხშირი მოვლენა მოხუცებულობის დროს კვების დაკლების ნიადაგზე განგრენობული პროცესი ქვედა კიდურების მოხუცებულთა შორის. თავის ტვინის ქერქი—კვებას მოკლებული—განიცდის აგრეთვე სხვადასხვა ცვლილებებს, რასაც შედეგად მოსდევს ადამიანის ფსიქიური ცხოვრების შეცვლა. უმთავრესად ეს ცვლილებები ეხება გონებრივ მუშაობას, ინტელექტუალურ სფეროს. უპირველეს ყოვლისა, მოხუცებულებს ემჩნევათ მეხსიერების შესუსტება; მოხუცებული ახალს ძნელად იმახსოვრებს, ითვისებს; ამავე დროს მეხსიერება — მოგონების სახით — შეიძლება ქარგად ჰქონდეს შენახული. მაგრამ ყველა ზემოაღნიშნულ მოვლენებს ზოგიერთ შემთხვევაში მიემატება ფსიქიური მოვლენებიც და მაშინ ოჯახურ პირობებში დატოვება ავადმყოფება შეუძლებელი ხდება. ამისთანა ავადმყოფებს ღამე არა ძინავთ, მოუსვენრობენ, გადადიან ერთი ოთახიდან მეორეში, ერთი კუთხიდან მეორე კუთხში, ზოგჯერ ღამე ქუჩაშიც დაიარებიან; აქვთ გაძარცვის ბოლვითი იდეები; მათ ჰგონიათ, რომ მოღიან ქურდები, ავაზაკები გასაძარცვად. ამიტომ ავადმყოფები მუდმივი შიშის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან, არა ძინავთ, უთვალყურებენ სარჩო-საბადებელს, ცდილობენ თავი მოუყარონ ყველაფერს ერთად; ზოგჯერ ბალიშსა და საბნის ქვეშ ინახავენ იმას, რაც მათთვის უფრო ძყირფასი და საყვარელია. მწვავე აგზებულ მდგომარეობაში მათ ესაჭიროებათ მოთავსება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, უფრო ხშირად კი ისინი საჭიროებენ მუდმივ მეთვალ-

ყურეობას, მზრუნველობას, მოვლა-პატრონობას. აგაღ-
მყოფობა ნელი ნაბიჯიდ მიმდინარეობს, ქრონიკულია,
მოურჩენელი ავადმყოფობაა. ფსიქიური მოვლენები დღი-
თი დღე ემატებათ. მეხსიერება ძლიერ დაწეული აქვთ,
აზროვნება დაკლებული, უბრალო დავალების შესრულე-
ბაც კი უძნელდებათ, ჭკუასუსტობა ემართებათ.

მოხუცებულობის დროს ჭკუასუსტობას ეწოდება dementia senilis.

VIII. ისტერია – Hysteria.

ისტერია კონსტიტუციონალი დაავადებაა; ისტერი-
ელს ყოველთვის განსაკუთრებული, თავისებური ხასიათი
აქვს თითქმის ბავშვობიდანვე. იგი ძლიერ მგრძნობიარეა
იცის აღვილი წყენა, თუ რამე მოინდობა უთუოდ. უნდა
შეუსრულდეს. უარის ატანა არ შეუძლია; უყვარს განსა-
კუთრებული ყურადღებით ექცეოდენ, უსრულებდენ მის
სურვილებს, ჩივილს და სხვა; ყველა უნდა იყოს დაინტე-
რებული მისი პიროვნებით. ყველამ უნდა იცოდეს რა
დროს რას მოისურვებს. ყველა მისი სურვილი დაუყო-
ნებლივ უნდა იყოს სისრულეში მოყვანილი. ამისთანა
პიროვნება ვერ გაუძლებს დიდ რაიმე განცდას, რაიმე
დიდ უბედურებას, მაშინვე გადავა ავადმყოფურ მდგომა-
რეობაში და მივიღებთ ეგრეშოდებულ ისტერიულ გულ-
ყრას, ე. ი. დავარდება, იყვირებს, ცნობიერება შეეცვლება;
ზოგჯერ მთლიანად იმეორებს გადატანილ უსიამოვნებას
მოქმედებით, ხელების ქნევით, ლაპარაკით, ისე ცხადად,
ისე ცოცხლად, რომ სავსებით განიცდის ყველა იმას, რაც
პირველად შეემთხვა. იშვიათი არ არის, რომ ასეთი
მძლავრი განცდების დროს ავადმყოფს ერთმევა ენა, არ
შეუძლია ლაპარაკი, ემართება ყალბი დამბლა, არ შეუ-
ძლია გაიაროს, დადგეს, გამაგრდეს ფეხზე, ხელებს ვერ

ხმარობს და სხვა. მხოლოდ ერთი მომენტია აღსანიშნავი: ისტერიელი გულყრის დროს თუმცა დაეცემა, მაგრამ არასოდეს ისეთ ადგილას ან ისე არ დაეცემა, რომ მან რაიმე დაიზიანოს. ისტერიელი თითქოს განგებ არჩევს ადგილს და არასოდეს არ დაეცემა ეპილეპსიით დაავა-დებულსავით, უხერხელ ადგილას, არ დაისახიჩრებს მასა-ვით სხეულს. ისტერიელებს ხშირად აქვთ უგრძნობი ად-გილები სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე, მაგალითად, ვერ გრძნობენ ჩხვლეტას, მუხლის მყესის რეფლექსები ძლიერ აწეული აქვთ, ხახის რეფლექსი ძლიერ დაწეული; აქვთ ძლიერი ქუთუთოების კანკალი, აგრეთვე კანკალი გაშ-ლილ თითისა და ენის წვერის. გამწვავებულ მდგომა-რეობაში ისტერიელი იმყოფება ფსიქიატრიულ დაწესე-ბულებაში და ექიმი მკურნალობს მას ფსიქოთერაპიით.

IX. პარანოია – Paranoia.

ავადმყოფობა, რომელსაც ფსიქიატრიაში პარანოიას უწოდებენ ისეთი დაავადება, რომელზედაც თამამად შე-იძლება ითქვას, რომ იგი ხასიათის ავადმყოფობაა – კონ-სტიტუციონალია. ბავშობიდანვე თავისებური ხასიათის არიან ამისთანა პირნი; ვერ ეგუებიან ჩვეულებრივ წე-სებს ოჯახის პირობებში; ვერ თავსდებიან სკოლის პირო-ბებში. ამხანაგებში, დაწესებულებაში, საზოგადოებაში. მუდმივი უსიამოვნების გამო ხშირად უქმაყოფილონი არიან; ავადმყოფობას ახასიათებს ერთადერთი ფსიქიური აშლილობის ნიშანი; ეს არის ბოდვა; მხოლოდ ბოდვის არა აქვს შემთხვევითი ხასიათი; ეს არის ავადმყოფის დალაგებული, მისგან აღიარებული აზრები, გეგმები, რო-მელიც მას დიდ ჭეშმარიტებად მიჩნია; ცდილობს ამ აზრების, გეგმების ცხოვრებაში გატარებას, მათ განხორ-ციელებას, და რადგან მისი აზრები სრულიად არ ეთან-

ხმება არც ცხოვრების სინამდვილეს და არც მისაღებია, ავადმყოფი მუდამ ძიებაშია, მუდამ უკმაყოფილოა, დაეძებს სამართალს, არწმუნებს ყველას თავის აზრებში, უჩივის მათ, ვისაც ეს არა სწამს და ამნაირად, მუდმივ უთანხმოებაშია როგორც ოჯახის წევრებთან, აგრეთვე დაწესებულებასთან და საზოგადოებასთან. ძნელია პარანიათი დაავადებულ პიროვნებისათვის დიდხანს რომელიმე დაწესებულებაში, ან საზოგადოებაში გაჩერება; ავადმყოფი ვერ ეგუება და ვერ უთანხმდება ერთ დაწესებულებას, ჩივილით გადადის მეორეში, მესამეში და ასე ამნაირად. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ასეთი ავადმყოფები ნაკლებად არიან და თუ მაინც მოხვდებიან, მხოლოდ და მხოლოდ გამწვავებულ მდვომარეობაში. ჩვეულებრივ კი ისინი სრულიად დამოუკიდებელ თავისუფალ ცხოვრებას აწარმოებენ. როგორც ზევითაც ვთქვით, ფსიქიური აშლილობის ნიშნებიდან ამ ავადმყოფთ აქვთ მხოლოდ ერთი ბოდვა. სხვა მხრივ სრულიად შენახულ არიან: მათ არავითარი გადახრა და ცვლილება არა აქვთ არც ცნობიერების მხრივ, ე. ი. ყოველთვის იციან სად არიან, ვისთან, რა დრო არის, რომელი წელი, თვე, რიცხვი, წელიწადის დრო და სხვა. არავითარი ჭკუასუსტობის ნიშანი. კარგად ზედმიწენით შენახული მეხსიერება, კარგად მოწესრიგებული ასოციაციური პროცესები, ქცევა წესიერი, ლაპარაკი დალაგებული, — ერთი სიტყვით — ბოდვის გარეშე არავითარი ავადმყოფობის ნიშანი. გადაჯერება სრულიად შეუძლებელია: ავადმყოფში მკვიდრადაა ჩაწერილი მისი რწმენა; ეს მისთვის უტყუარი ჭეშმარიტებაა. შეიძლება მან არასოდეს მთელ თავის სიცოცხლეში ვერ განახორციელო თავისი გეგმები, მაგრამ მაინც ეს სწორია, ეს ასეა, ასე უნდა განხორციელდეს, ცხოვრებაში უნდა გატარდეს.

ავალმყოფი პ. პ. ფსიქიატრულ საავალმყოფოში იმყოფება 1920 წ. აი მისი მოკლე წარსული, მისი ანამნესტიური ცნობები:

დედმამის ერთად-ერთი შვილია; თავიდანვე ეტყობოდა ხასიათის თავის ებურება: იყო ჯიუტი, ძალიან ხშირად მოსდიოდა უსიამოებება ამხანაგებთან, რაღაც არ იცოდა დათმობა; თავის ნათქვამს, აზრს, პრინციპს, არ ულალტებდა, უკან არ დაიხევდა არ გადასთქვამდა. სამუალო სასწავლებელში საგნების შეთვისება სრულებით არ უნელდებოდა; მიუხედავად იმისა ვერ სწავლობდა ზედმიწევნით კარგად, რაღაც ზოგიერთ საგნებს გულს არ უდებდა. სწავლობდა გულდადებით მხოლოდ იმ საგნებს, რომლებიც მეტად მოსწონდა და უყვარდა; მე-6 კლასში რომ იყო; ერთ დღეს გამოუცხადა სასწავლებლის დირექტორს რომ ის სწავლას თავს ანებებს, რადგან უყვარს ერთი ქალი; სწავლას თავს ანებებს შემდეგი პრინციპის გამო: სიყვარული და სწავლა ერთმანეთს ვერ უდებდა, ეწინაღმდეგება, მათი შეთანხმება, შეკავშირება—ეს იქნება საბოტაჟი. რამდენიმე თვის შემდეგ მივა რა იმ დასკვნამდე, რომ ქალისადმი გრძნობები არ არის ღრმა, ის ხელახლა ბრუნდება სასწავლებელში. მე-7 კლასში რაღაც უსიამოვნების გამო დირექტორთან მთელი კლასი დათხოვნილ იქნა სასწავლებლიდან, მხოლოდ დირექტორის წინაშე მონაიების შემდეგ უველა იქნა დაბრუნებული, გარდა ჩეტნი ავალმყოფისა, რომელმაც ჩვეულებრივი სიჯიუტის გამო ბოდიში არ მოიხადა და სამუდამოდ დატოვა საშუალო სასწავლებელი.

ამის შემდეგ ავალმყოფი შედის სამსახურში; ხასიათის შეუთანხმებლობის გამო ვერ რჩება დიდხანს ერთ დაწესებულებაში, ყველგან კონფლიქტი, ყველგან უსიამოვნება 1920 წლიდან იმყოფება ფსიქიატრიულ საავალმყოფოში,

საღაც მისი აზრით მოთავსებულია შტრული განხრახვით ვიღაც №-ის მიერ.

საავადმყოფოში სრულიად წყნარადაა. აგერ უკვე 10 წელზე მეტია თავისი აზრები, ბოდვები სისტემაში აქვს მოყვანილი, დაწერილი აქვს, სიამოვნებით მოუთხრობს ყველას ვინცკი დაინტერესდება; შეოლოდ თუ ვინმემ რა-იმე კორექცია — შესწორება შეიტანა ამ გეგმებში და ავად-მყოფს არ დაეთანხმა, მაშინავე მტრულ განწყობილებას გამოიწვევს ავადმყოფში თავისადმი.

აი, ავადმყოფის ბოდვები: მას, მაგალითად, არ მოს-წონს ქალაქების არსებობა, მისი აზრით სახელმწიფო უნ-და გადავიდეს ე.წ. „ხუტორულ“ სისტემაზე. მისი აზრით ყოვლად მიუღებელია ქალაქების გაშენების არსებული წე-სები; ავადმყოფს უარყოფს ქალაქის აგებას იმ წესით, რო-გორიც დღემდე არსებობდა: აშენებენ სახლებს, შემდეგ გაყავთ ქუჩები; კანალიზაცია. ჯერ უნდა წინასწარ გამო-მუშევრებული გეგმით გატარდეს ქუჩები, კანალიზაცია, ელექტროოთი განათება და ამის შემდეგ უნდა შენდებო-დეს სახლები.

საერთოდ, ავადმყოფის ნაწერებს ახასიათებს რეფორ-მული შინაარსი. როგორც ზემოთ ვაქვით, ავადმყოფი საავადმყოფოში მოთავსებულია 10 წელზე მეტი, ყოფა-ქცევა სავსებით წესიერი, თავაზიანი მოპყობა, გონებ-რივი მუშაობის უნარი საქსებით დამაკაყოფილებელი, კარგად შენახული მექანიზმის უნარი. ავად-მყოფი ყოფილი ბუჭხალტერია. ყოველ წელს წლიური ან-გარიშების დამუშავების დროს საავადმყოფო მიმართავს მას დაქმაროს კანცელარიის მუშაობაში, რასაც ის ზედ-მიწევნით კარგად ასრულებს, რადგან მას ამჟამად სრუ-ლიად კარგი მდგომარეობა აქვს და შეუძლია მუშაობა საავადმყოფოს გარეშეც; საავადმყოფომ მას წინადადება მისცა გაეწეროს, რაზედაც ავადმყოფმა სრული თანხმობა

განაცხადა. მხოლოდ საავალმყოფოს წარუდგინა ანგარიში სადაც იგი მოითხოვდა სახელმწიფოსგან იმ დაკარგულ დროის ანაზღაურებას ოქროს ვალუტით, რა ხნის განმავლობაშიც ის საავალმყოფოში იმყოფებოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საავალმყოფოდან არსად წავა. ამნაირად დღესაც საავალმყოფოში იმყოფება.

X. თანდაყოლილი ჰკუასუსტობა.

Idiotismus, imbecillitas.

ჩვენ ვიცით, რომ ჭკუასუსტობა განვითარებულია სხვა-დასხვა ავალმყოფობის დროს, მაგ. ეპილეპსიის, ალკოჰოლიზმის ნიადაგზე; მოხუცებულობის ჭკუასუსტობა, პროგრესული პარალიზით ჭკუასუსტობა და სხვადასხვა. იდიოტიზმის დროს ჭკუასუსტობა არ არის შემდეგ შეძენილი, არამედ დაბადებიდან, თანდაყოლილი. ეთიოლოგიად ჩვენ შეგვიძლია იგივე ინფექციები, ინტოდისკაციები ჩავთვალოთ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სხვადასხვა საზიანო მომენტებს გავლენა ჰქონდათ ჩანასახზე— მუცლად განვითარების დროს. ამნაირად ფრანგი სწავლული ეს კოროლი ს სიტყვებით, ნაადრევი ჭკუასუსტობით შეპყრობილი ყოფილი მდიდარია, რომელმაც მთელი თავისი ქონება გაფლანგა; ხოლო იდიოტის არასოდეს სიმდიდრე არ ჰქონია, ის თავიდანვე ლატაკი იყო!— ეს სიტყვები, ჭეშმარიტებაა როგორც პირველი, ისე მეორე შემთხვევისთვის. და სწორედ ამიტომ იდიოტს არა აქვს არავითარი უნარი გონებით განვითარებისა; ის ჭკუით ჩამორჩენილია, ხშირად არა აქვს მეტყველებაც კი; თავის სურვილს სიტყვით ვერ გამოსთქვამს, თავს ვერ მოუვლის სისუფთავის მხრივ, არა აქვს სირცხვილის გრძნობა; არ არჩევს საჭმელს, პირში ჩაიდებს რაც კი მოხვდება და შესჭამს. იდიოტს არა აქვს

ჭკუა და ამასთან ერთად არა აქვს წესიერად, პარმონიულად განვითარებული სხეული, სხეულის სხვადასხვა პროპორციები. მაგალითად, მეტად პატარა თავის ქალის ის ნაწილი, სადაც ტვინია მოთავსებული. ხშირად სიმეტრიასაა მოკლებული პირისახე; აქვს უსწორ-მასწორი მეჩხერი კბილები, მახინჯი ტერფები და სხვა ყველაფერი, რასაც გადაგვარების ფიზიკურ ნიშნებს უწოდებენ. ფიზიკურად მათ არა აქვთ დიდი გამძლეობის უნარი და უმეტეს შემთხვევაში ადრე იღუპებიან; იშვიათად აღწევენ 12-13 წ. იდიოტს შეიძლება მეტყველება ჰქონდეს განვითარებული, მხოლოდ გონების. ძლიერი სისუსტის გამო მაინც ვერ სარგებლობს მეტყველებით იმდენად, რომ შინაარსიანი კონტაქტი — დამოკიდებულება იქონის გარემოსთან, — წესიერად გამოსთვას თავისი სურვილები, შეიგნოს დავალება; ანგარიშს ვერასოდეს ვერ შეითვისებს, ასევე წერა კითხვას და სხვა. იდიოტს არა აქვს უმარტივესი ცნებებიც კი. მაგ., მას არ შეუძლია შეადაროს ორი მარტივი რიცხვი, თუ რომელია უფრო მეტი — 3 თუ 2; 1 თუ 2; 3 თუ 4 და ასე ამნაირად მას არ შეუძლია შეადაროს ორი სხვადასხვა სიგრძის ჯოხი, — რომელი მათგანი უფრო მოკლეა და რომელი გრძელი; არ შეუძლია შეადაროს ორი სხვადასხვა სიმძიმის საგანი — რომელი მათგანი უფრო მძიმეა და რომელი მსუბუქი!

მეორე ხასიათის თანდაყოლილ ჭკუასუსტობად ითვლება იმპეციოლობა. აქაც უნდა ვიგულისხმოთ დაინვალიდებული ტვინი, რომელსაც განვითარების დიდი უნარიანობა არა აქვს, მხოლოდ შემდეგის განსხვავებით: იმპეციოლი, მართალია, ჭკუასუსტია, მაგრამ აქვს მეტყველება, მეხსიერება, მარტივი ცნებები; შეუძლიან შეისწავლოს წერა-კითხვა, ანგარიშიც, თუმცა ვიწრო ფარგლებში. იმპეციოლი ცხოვრებაში გამოდგება, შესძლებს თავისით ლუკმა პურის შორნას. მას არ შეუძლია დამოუკიდებელი აზ-

როვნება, ცხოვრების გეგმის გამოუშავება, მაგრამ შეუძლია ხელმძღვანელობით საღურგლოში, ბალში, ბოსტანში, კალატოზთან იმუშავოს და, ამნაირად, თავი ირჩინოს.

XI. სულით ავადმყოფების მოვლა, მეურნალობა, მზრუნველობა.

ავადმყოფი ხშირად აგზნებულ მდგომარეობაში, ატაცებული არ ჩერდება ერთ ადგილზე: მუდმივ მოძრაობა-საქმიანობაშია, არავის არ ემორჩილება, თავის საქციელს, თავის ნათქვამს ანგარიშს არ უწევს და არ აკრიტიკებს; ვერ თავსდება ვერც ოჯახურ და ვერც სამსახურის პირობებში, საჭიროებს ნორმალ აღამიანებისგან განცალკევებას, გამოყოფას და მოთავსებას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში; აი, აქ სპეციალურ დაწესებულებაში საჭიროა ავადმყოფისადმი მეტი ყურადღება, როგორც მოპყრობის აგრეთვე, რეჟიმის და მკურნალობის მხრივ. აგზნებულ ავადმყოფისადმი საჭიროა თავდაჭერილობა, ალერსიანი საუბარი, სიმშვიდე, დალაგებულობა, საზიანოა ავადმყოფის მოტყუება; საჭიროა ყოველთვის სიმართლის თქმა, თუნდაც ეს სიმართლე ავადმყოფისათვის ამ მომენტში არ იყოს ხელსაყრელი. აგრეთვე მუდმივი თვალყურის გდება; არც ერთი წუთით ავადმყოფი მარტო არ უნდა დარჩეს. აგზნებული ავადმყოფი მოითხოვს წოლას ქვეშაგებში; ძნელია, რასაკვირველია, ალელვებული ავადმყოფის საწოლში გაჩერება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ავადმყოფისათვის უთუოდ საჭიროა, რაც მისთვის პირველი წამალია. გარდა ამისა, დამშვიდების მიზნით აგზნებულ ავადმყოფს ეძლევა ყოველ დღე თბილი აბაზანები 27-28⁰ R, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა იყოს ნახევარ საათზე ნაკლები; პირიქით, რაც უფრო მეტი ხანი დარჩება ავადმყოფი აბაზანაში, მით უკეთესია; თუ საავადმყოფოს პი-

რობები ხელს უწყობს, მაშინ ავადმყოფი შეიძლება დარჩეს აბაზანაში 2-3 საათი და მეტიც. აგზნებული ავადმყოფი მოითხოვს ძილის წამალს, რადგან ის მუდმივ მოძრობაშია, არ ძინავს დამშვიდების მიზნით ეძლევა დასაძინებელი წამალი, განსაკუთრებული დიდი ყურადღებაა საჭირო, რომ ავადმყოფი წესიერად იკვებებოდეს. უძილობა, გადაჭარბებული მოძრაობები, აგზნება, ავადმყოფს აკარგვინებს ბევრს ენერგიას და ასუსტებს; ფსიქიატრიულ დაწესებულებაში საჭიროა სრული მყუდროება, სიწყნარე. დაუშვებელია ყვირილი, ხმამალლა ლაპარაკი, კარების დარახუნება, ავადმყოფთან უხეში მოქცევა, მასთან ზედმეტი მნახველის დაშვება და სხვა. ყოველი ახალი შთაბეჭდილება, ახალი პირი, ზედმეტი ხმაურობა ცუდად მოქმედობს ავადმყოფზე, გამოჰყავს წონასწორობიდან, და უფრო მეტად ალელვაბს, აფერხებს ღროშე დამშვიდებას, დაწყნარებას. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დამშვიდების მიზნით მიღებულია, აგრეთვე, სველ ზეწრებში შეხვევა, რაც წარმოებს შემდეგი წესით: საჭიროა ფართო მაგარი ზეწრების დასველება, მაგრად, მშრალად გამოწურვა; ამის შემდეგ ავადმყოფი მთლიანად უნდა იყოს შეხვეული ამ სველ ზეწარში; უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ სხეულის სხვადასხვა ნაწილები—ხელები, ფეხები თავისუფლად მოყვეს ზეწარს ქვემოთ, ზეწრების ნაკეცებმა არ უნდა გამოიწვიოს სისხლის მიმოქცევის დარღვევა; ზეწრებს ზემო ავადმყოფი მთლიანად შეხვეული იქნება საბანში და ასე დარჩება $1-1\frac{1}{2}$ საათი; თუ ამ მდგომარეობაში ავადმყოფს პირისახე გაუწითლდა და თვალები დასისხლიანდა, მაშასადამე, სისხლის ზედაწოლა მომატებული აქვს; საჭიროა თავშე პატარა სველი ტილის დადება; დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ უნდა მიუდეგეს მოქველელი პერსონალი აგზნებულ ავადმყოფს. თუ ავადმყოფი წევს, მაშინ მომვლელი ცდილობს დაუკავოს მას

ხელები და ფეხები და ამით მისცეს საშუალება მოწყალების დას გაუკეთოს ექიმის გამოწერილი წამალი. თუ ავადმყოფი დგას და ყვირის, მოძრაობს, აგზებულია, მოითხოვს დამშვიდებას, საჭიროებს რაიმე წამლის გაკეთებას კან-ქვეშ, — მაშინ მომვლელი უნდა მიუდგეს მას უკნიდან; უმჯობესია — გვერდიდან დაუჭიროს ავადმყოფს ორივე ხელი, ისე რომ თუ მომვლელი დგას მარცხნივ, მას მარცხნა ხელით უჭირავს ავადმყოფის მარჯვენა ხელი, — ხოლო მარჯვენათი — ავადმყოფის მარცხნა ხელი. ამნაირად, დაქავებულ ავადმყოფს არ ექნება საშუალება ფეხებით, ან თავით დააზიანოს მომვლელი. ავადმყოფი, რომელსაც უკვე ჭიუასუსტობა აქვს, უფრო ზედმეტ ყურადღებას, მეთვალყურეობას, ზრუნვა პატრონობას და მოვლას მოითხოვს. ის თავისით არც საჭმელს მოითხოვს, ვერც დაიბანს, დაისუფთავებს, დაივარცხნის. მასზე მუდამ მოვლელი პერსონალი ზრუნავს.

დიდი ხნის ქრონიკული მოურჩენელი ავადმყოფი, რომელიც სრულიად მშვიდი არის, საზოგადოებისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს. რაც მოითხოვს მხოლოდ მზრუნველობას და პატრონობას. იგი უნდა მოთავსდეს სპეციალურ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ახალშენში, — ზოგიერთი მათგანი კერძო ოჯახებში იმავე მიზნით. სახელმწიფო გაიღებს რა სათანადო თანხას, ათავსებს ქრონიკულ ავადმყოფს ოჯახში, სადაც მას ექნება ყველაფერი, რაც მისთვის საჭიროა: სისუფთავე, მოვლა, კვება და მკურნალობა. ქრონიკულ სულით ავადმყოფების მზრუნველობის და პატრონობის ასეთ სისტემას ეწოდება პატრონაჟი.

საჭიროა სულით ავადმყოფის მწვავე მდგომარეობაში სათანადო დაწესებულებაში მოთავსება, დროზე მკურნალობის გატარება; მაგრამ უფრო მეტად საჭიროა და აუცილებელი სულით ავადმყოფობის წინასწარი გამოცნობა წინასწარი ზომების მიღება, ავადმყოფის გაფრთხილება,

სათანადო რეფიმის გატარება; ყველაფერი ეს საავადმყოფოს გარეშე ხდება,—სპეციალურ დაწესებულებაში, დისპანსერის სახით. აუარება ავაღმყოფები მოღიან დისპანსერში ჩივილით. და აქ ზოგიერთ შემთხვევაში წინასწარ მიღებული ზომების შემდეგ პიროვნებას მოშორებული ექნება მძიმე სულიერად დაავადება თავისი აუტანელი შედეგებით. აეილოთ, მაგალითად, პროგრესული სიდამბლე, რაც დასაწყისში იძლევა სრულიად უმნიშვნელო ჩივილებს; დისპანსერში ნაადრევად დადასტურებული ავაღმყოფური ნიშნები, დროზე გამოცნობილი ათაშანგით დაავადება, დროზე გატარებული ანტილუუტიბური მკურნალობა—პიროვნებას აცდენს იმ საშინელ სენს, რომელიც მძიმე ტკირთად დაედება ოჯახს, საზოგადოებას, სახელმწიფოს. დისპანსერის მუშაობის მიზანს შეადგენს ფართოდ გაგება მოსახლეობის ყველანაირ სანიტარული პირობებისა, ზე-ჩვეულების, კვებისა და საერთოდ, საზიანო მომენტების ზედმიწევნით შესწავლა; თუ დღემდე საქართველოში იყო მხოლოდ საავადმყოფო, სადაც ათავსებდენ სულით დაავადებულთ—ზოგჯერ მხოლოდ იმ მიზნით, რომ ოჯახს, დაწესებულებას, საზოგადოებას მოეშორებინათ საშიში ავაღმყოფი, დღეს ამავე საავადმყოფოში ფართოდ ტარდება ყოველნაირი მკურნალობა ყველა ფსიქიურ ავაღმყოფობისა; ხოლო ამავე დროს დისპანსერული მუშაობის გაძლიერებით ბოლო ელება ავაღმყოფობის გაღრმავებას და გაუარესებას; ტარდება ყოველნაირი მკურნალობითი წესები იოლი გამოსახულების ავაღმყოფობის საწინააღმდეგოდ, ეძლევა რჩევა-დარიგება რეფიმის, კვების, სანიტარულ-პიგიენურ პირობების შეცვლისთვის.

მძიმეა სულით ავაღმყოფთან მყოფ პირების როლი. ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მსახურისათვის საჭიროა უდიდესი მოთმინების მომარაგება, თავის დაჭერა, ხშირად თავმოყვარეობის უკუგდება, ვინაიდან სულით ავაღმყოფი

არ უშევს რა კრიტიკას არც თავის ნათქვაშს და არც სა-
ქციელს, შეურაცხყოფს სიტყვით და მოქმედებითაც (და-
არცყომს, შეავინებს) ექიმს, მოწყალე დას, მესასთუმლეს,
ან სანიტარს. აი, ამისათვის თვითეულმა მათგანმა წინას-
წარ უნდა გაითვალისწინოს რამდენად მისაღებია მისთვის
ის მძიმე ულელი, რომელშიც იგი თავის სურვილით ებმის.

საჭიროა სულის სიძლიერე, უაღრესი მოთმინება, გამ-
ძლეობა, ნებისყოფა, ავაღმყოფისადმი ღიღი ყურადღება
და ლმობიერი მოპყრობა. ვისაც ეს თვისებები არ ახლავს,
მისთვის ორმაგ სიძნელეს წარმოადგენს ფსიქიატრიულ და-
წესებულებაში მუშაობა და არც ავაღმყოფისათვისაა ხელ-
საყრელი ასეთ მოსამახურესთან ყოფნა.

ს ა რ ჩ ი ვ ი

	83.
პროფ. მ. ასათიანის წინასიტყვაობა.	3
ავტორის წინასიტყვაობა	5
ზოგადი ნაწილი.	4
Dementia praecox—Schizophrenia	10
მანიაკალურ დეპრესიული ფსიქოზი.	17
პროგრესული სიღამბღე	22
ეპილეპსია—Epilepsia	27
ალკოჰოლიზმი—Alkoholismus.	30
დიპსომანია—Dipsomania	32
მოხუცებულობის ფსიქოზი	33
ისტერია—Hysteria.	35
პარანოია—Paranoia	36
თანდაყოლილი ჭკუასუსტობა.	40
სულით ავადმყოფების მოვლა.	42

671
198

